აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№87 (24.967) სამშაბათი, 16 - 17 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

აჭარაში მყოფ უკრაინელ ბავშვებთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გაიმართა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ამ დღეებში, აჭარაში მყოფ უკრაინელ ბავშვებთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გაიმართა. მათ საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე შეხვდნენ

მინისტრმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი უკრაინისა და საქართველოს მჭიდრო მეგობრობას და უკრაინისადმი საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას.

ილია დარჩიაშვილის თქმით, ქართული მხარე მოხარული იყო ემასპინძლა უკრაინელი ბავშვებისთვის და ამით კიდევ ერთხელ გამოეხატა თავისი სიყვარული და სითბო უკრაინელი ხალხის მიმართ.

„დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში გატარებული დრო მათთვის იქნება ტკბილი მოგონება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ეს მისცემს მათ სტიმულს, რომ მომავალში იმეგობრონ ქართველებთან. ჩვენი დიდი სიხარული იყო მათი მასპინძლობა. მინდა, ასევე, ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს უკრაინელ დებს და ძმებს ვუსურვო მშვიდობა, რაც დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ყველასთვის, რეგიონისთვის და, პირველ რიგში, უკრაინისთვის“, - განაცხადა ილია დარჩიაშვილმა.

უკრაინელი მცირეწლოვანი ბავშვები მშობლებთან ერთად აჭარას 21 ივლისს ეწვივნენ. მათ ისტორიული ძეგლები დაათვალიერეს და გასართობი ობიექტებით ისარგებლეს. ჯგუფის საქართველოში ჩამოყვანა და დასვენება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და აჭარის მთავრობამ უზრუნველყო, შესაბამისი პროგრამა კი ქართული მხარის ჩართულობით, უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და კიევის მერიის თანამშრომლობით განხორციელდა. მასში მონაწილეობდნენ უკრაინელი სამხედროების შვილები, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომში დაიღუპნენ ან ამჟამადაც იბრძვიან.

წლის ბოლოს 100 ოჯახი ბინებს მიიღებს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ჯავახიშვილის ქუჩაზე სოციალური სახლების მშენებლობის პროცესს გაეცნო

არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამა უმნიშვნელოვანესია, რომელიც საშუალებას აძლევს ბათუმში რეგისტრირებულ იმ მოქალაქეებს, რომელთაც საკუთრებაში ბინები არ გააჩნიათ, გამოისყიდონ საცხოვრებელი ფართები ქირის სახით.

„წლის ბოლოს 100 ოჯახი „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში ბინებს მიიღებს. უკვე დასრულებულია ჯავახიშვილის ქუჩაზე 4 კორპუსის მშენებლობა და მიმდინარეობს შიდა კომუნიკაციების მოწყობა. ამ ეტაპზე პროგრამით უკვე 80-მა ოჯახმა ისარგებლა. მთლიანობაში, პროექტისთვის 13 მილიონამდე ლარია გამოყოფილი“ - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

უკვე დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს შიდა კომუნიკაციების მოწყობა და მოპირკეთება.

სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ პროგრამის ფარგლებში, ბინებით უკვე დაკმაყოფილდა 80 ოჯახი.

პროგრამა გათვლილია ბათუმში რეგისტრირებულ იმ მოსახლეობაზე, რომელთაც არ აქვთ ბინა და ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვა შეუძლიათ.

ბათუმის მერთან ერთად, სოციალური სახლების მშენებლობის ადგილზე ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე და საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი აკაკი ბერიძე იმყოფებოდნენ.

ბათუმს მოტოციკლეტები შეემატნენ

2

ორი რეგიონის ერთობის დღესასწაული

6

კრიალოსა N იუსი

მსოფლიოს ქვეყნები, მათ შორის საქართველო ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ და მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს სამხედრო ძალები და ყველა სხვა არასანქცირებული პერსონალი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან, მისი უშუალო შემოგარენიდან და მთელი უკრაინიდან. „რუსეთის შეჭრა და მისი მუდმივი ყოფნა უკრაინის ბირთვულ ობიექტებში მნიშვნელოვნად ზრდის ბირთვული ინციდენტებისა და ავარიების რისკს“, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ცესკომ სენაკში შუალედური არჩევნები დანიშნა, რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრა. საიას თავმჯდომარის ნიკა სიმონიშვილის განცხადებით, სენაკის საკრებულოში სხდომა 6 თვეა არ ჩატარებულა და მთავრობას წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნის ვალდებულება აქვს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილის განცხადებით, ცესკომ არჩევნები კანონმდებლობის გათვალისწინებით დანიშნა და თუ ვინმე ამას არ ეთანხმება, დავა სასამართლოში უნდა გადაწყდეს.

* * *

„დამოუკიდებელი იურისტების“ ჯგუფმა, ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებულ სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების ამსახველი დოკუმენტი და რეკომენდაციები წარუდგინა. ჯგუფი გამოთქვამს მზაობას, აქტიურად ითანამშრომლოს ყველა აქტორთან მართლმსაჯულების საკითხებზე ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად.

* * *

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შეფასება, რაც კი ევროკავშირს გაუკეთებია, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რომან გოცირიძემ ევროკომისიის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტზე საუბრისას, რომლის თანახმად, გასული წლის განმავლობაში სასამართლო სისტემის რეფორმა შეფერხდა და ძირითად სფეროებში რეგრესიც კი განიცადა. ანგარიშში მიმოხილულია გასულ წელს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული რეფორმები.

მოამზადა
ია შველიძემ

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზა მოწესრიგდა

ზიჭრია დავლაძე 579 25 25 72

სარფი-კალენდრე-ზედა კალენდრეს მიმართულებით ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზის 2-კილომეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი მოეწყო. ინფორმაციას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ავრცელებს. უწყებაში აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით არსებობდა ბეტონისაფარიანი გზა, რომელიც პატარა მონაკვეთებად იყო დაგებული, ახალი გზა კი სოფლებს, ტურისტულ ობიექტებს, საოჯახო და მაღალი კლასის სასტუმროებს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს. აღნიშნული სამუშაოები, ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროექტის მიხედვით მოეწყო საყრდენი კედლები, ზღუდარები და არმირებული ცემენტბეტონის საფარი. პროექტის ღირებულება 1 600 000 ლარია. აღნიშნული პროექტი განხორციელდა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ.

საავტომობილო გზა ტურისტული მნიშვნელობისაა. გზა სოფლისათვის მნიშვნელოვანია, უგზოობის გამო, აქამდე ვერც სკოლის ავტობუსები და ვერც სასწრაფო დახმარების ავტომობილები ადიოდნენ. სარფი მიეკუთვნება ტურისტული მიმართულებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე - ისტორიული თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია როგორც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისთვის, ასევე, ზოგადად, რეგიონის და ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის. მთავრობის მხარდაჭერით აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზების და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, - განაცხადა ხელვაჩაურის მერმა ზაზა დიასამიძემ.

ტერიტორიაზე, რომელიც ტურისტულად დატვირთულია, საერთო ჯამში 35 ოჯახი ცხოვრობს. აქვეა დედათა და მამათა მონასტერი, სადაც ვიზიტიორების ნაკადი არ წყდება. ადგილობრივების თქმით, ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხელს შეუწყობს მეტი ტურისტისა თუ მომლოცველის შემოსვლას, რაც ეკონომიკურადაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

- ადრე ძალიან ცუდი გზა გვქონდა, დატანჯულები ვიყავით 35 ოჯახი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ბავშვები სკოლებში, საბავშვო ბაღებში თითქმის ვერ დადიოდნენ, საავტომობილო გზა ხომ საერთოდ არ არსებობდა. ახლა ზაფხულშიც ტურისტები მოვლენ, გაეცნობიან ჩვენს სოფელს, საუკეთესო ადგილებს დაათვალიერებენ. ჩვენთვისაც კარგია და სტუმრებისთვისაც, - გვითხრა ადგილობრივმა ლალი აბაშიძემ.

საზაფხულო სკოლა - „კონსტიტუციური მართლმსაჯულების აქტუალური საკითხები“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციური მართლმსაჯულების აქტუალური საკითხები“ გაიხსნა. მასში მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის 40-მდე სტუდენტი. საზაფხულო სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საკითხებზე სტუდენტების ცოდნის გაღრმავებას და უნარების განვითარებას

საზაფხულო სკოლის ლექციებს გაუძღვებიან საქართველოს უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

ბაგირგზის კაბინა შეაკეთეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

მალე ნახევარი საუკუნე შესრულდება, რაც მოსახლეობის სამსახურშია ხულო-თაგოს საბაგირო გზა. მისი კაბინა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი იყო. ადგილობრივი ბიუჯეტიდან რემონტისთვის გამოყოფილი თანხით კაბინის შეკეთება დასრულდა

ხულო-თაგოს საბაგირო გზა სიგრძითა და სიმაღლით ევროპაში მეორე ადგილზეა. უსაყრდენო საბაგირო გზის სიგრძე 1720, ხოლო სიმაღლე 280 მეტრია. საზოგადოებრივ ტრანსპორტს მხოლოდ ტურისტული დანიშნულება არ გააჩნია, ის ხულოს ცენტრიდან სოფელ თაგოში მისასვლელად ერთადერთი უმოკლესი გზაა.

თაგოელებსა და მათ სტუმრებს სამუშაოების დასრულება პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მიულოცეს.

ტბეთის ქუჩაზე არსებულ საჩოგბურთო კომპლექსს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება

ზიჭრია დავლაძე 579 25 25 72

„აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ“ შეისყიდა პროექტი, რომლის მიხედვითაც უახლოეს პერიოდში ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის პროექტების მართვის კომპანია ავრცელებს

მათივე ინფორმაციით, ახალი პროექტი არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟს და მის ადგილზე ახალი სასტუმრო კორპუსის აგებას ითვალისწინებს. საჩოგბურთო კომპლექსი თამარის დასახლებაში ტბეთის ქუჩაზე 5111 კმ/მ ფართობზე არის განთავსებული.

- ტენდერის გამოცხადების შემდეგ, დაახლოებით ორ თვეში, სადღაც ოქტომბრის ბოლოს დაიწყება შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შენობის ამორტიზებული ნაწილი დაინგრევა. გეგმის მიხედვით გაიწერება შემდგომი სამუშაოები. შენობის პირველ სართულზე განთავსდება ნომერი შშმ პირთათვის, ასევე, სამედიცინო დახმარების, სამწვრთნელო, ტექნიკური დანიშნულების ოთახები, საშხაპეები, გასახდელები. მეორე სართული მთლიანად დაეთმობა სასტუმროს ნომრებს. გარე პერიმეტრზე დაიგება ფილები და გაკეთდება პარკირება. სპორტსმენებზე, ბავშვებს, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული შენობით, ოქტომბრამდე შეუძლიათ გააგრძელონ აქ ვარჯიში, ხოლო შემდეგ გვეცოდინება, სად შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. აუცილებლად შევატყობინებთ მათ სიახლის შესახებ, - განაცხადა ა(ა)იპ „ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსის“ დირექტორმა გიორგი ლომთათიძემ.

ბათუმს მოტომედიკოსები შეემატნენ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადებული მოტომედიკოსები შეემატნენ, რომლებიც მსოფლიო ბანკის მიერ შეძენილი სამედიცინო მოტოციკლებით ოპერატიულად შეძლებენ გამოძახებაზე გასვლასა და სწრაფი და ეფექტური სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ეს არის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი პროექტი - მოტომედიკოსები

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა აღნიშნა, პროექტი იქნება ეფექტური, ვიწრო და რთული გამავლობის ქუჩებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და საკურორტო ზოლებში გადაუდებელი დახმარების შემთხვევებზე გაიზრდება ოპერატიულობა.

მოტომედიკოსის ისეთ გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირება, როგორიცაა ავტოსაგზაო შემთხვევები, პაციენტის უგონო მდგომარეობა, ტრავმები, გულის გაჩერება მნიშვნელოვნად გაზრდის ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შანსებს.

ბათუმში ღონისძიებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაური, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი ალექსანდრე კუტიბაშვილი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე დაესწრნენ.

პროექტი ქვეყანაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აფხაზეთის ომიდან 30 წელი გავიდა. თარიღთან დაკავშირებით ბათუმში უკრაინის მოქალაქეებმა სოლიდარობის აქცია გამართეს. ევროპის მოედანზე შეკრებილებმა 1993 წელსა და ახლა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს შორის პარალელები გაავლეს, ომის პროვოცირებაში კი რუსეთი დაადანაშაულეს. ამ გამოსვლით მათ აზოვსტალის მებრძოლების მიმართაც გამოხატეს მხარდაჭერა.

* * *

სოფელ კაპნისთავში, ფესტივალი „კაპანი 2022“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ათძალი“, ანსამბლი „ეპოქა“, აჭარისწყლის კლუბთან არსებული ვოკალური ჯგუფი, ანსამბლი „კოლხეთი“, ანსამბლი „ძმანია“ და სხვა. ასევე, გაიმართა სპორტული შეჯიბრება ნარდში და ბილიარდში. ფესტივალს ესწრებოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, სამსახურის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები, ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები. ფესტივალის მიზანია ტურიზმის განვითარება, სოფლის ცნობადობის გაზრდა, ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების კანიონინგის პოპულარიზაცია, ეთნოგრაფიული კუთხის წადგენა და ზოგადად კაპნისთავის პოპულარიზაცია.

* * *

ბათუმში ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან, ღია ცის ქვეშ, დასასვენებელი სივრცე გაიხსნა. სივრცით სარგებლობა ნებისმიერ პირს შეუძლია - როგორც მუზეუმის ვიზიტიორებს, ისე ქალაქის სტუმრებს. ისინი ღია სივრცეში უფასოდ გაეცნობიან ადგილობრივ კულტურას, აჭარის რეგიონის ყოფა-ცხოვრებას. წარმოდგენილია ეთნოგრაფიული ნიმუშები - აჭარული ტანისამოსი, ხელნაკეთობები, ჭაღები, როგორსაც მაღალმთიან აჭარაში ქალები საკუთარი ხელით ქსოვდნენ და ამზადებდნენ. აქვე სტუმრებს ქარგვის და ქსოვის მასტერკლასსაც შესთავაზებენ. სამომავლოდ, სივრცე საგანმანათლებლო პროგრამებსაც დაეთმობა.

* * *

„დინამო“ ბათუმმა საქართველოს ეროვნული ლიგის 21-ე ტურის შეხვედრის გასვლითი თამაში გორში მოიგო. სეზონის განახლების შემდეგ ბათუმელებმა გასვლით შეხვედრაში „დილა“ მინიმალური სხვაობით 0-1 დაამარცხეს. პირველი ნახევარი უგოლო ფრედ 0-0 დასრულდა. 21 ტურის შემდეგ, გია გეგუჩაძის გუნდი, 50 ქულით ისევ პირველ ადგილზე იმყოფება, მეორე პოზიციაზე კი, 41 ქულით, „დინამო“ თბილისია. შემდეგ ტურში 21 აგვისტოს ბათუმელები შინ „საბურთალოს“ უმასპინძლებენ.

* * *

„ბათუმის თასი 2022“ - ამ სახელწოდებით ბათუმში საცხენოსნო ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებები დოღსა და ცხენბურთში ჩატარდა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ცხენოსნები მონაწილეობდნენ. გამარჯვებული ცხენოსნები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ჩემპიონატი ბათუმის მერიისა და ბათუმის საცხენოსნო კლუბის ორგანიზებით ჩატარდა.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

მთავრობა რთველის სუბსიდირებისთვის 150 მილიონ ლარს დახარჯავს

ივლისში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა გადააჭარბა 2019 წლის მონაცემს და 476 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც რეკორდული მაჩვენებელია, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ჯამურად, იანვარ-ივლისში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 მლრდ 618 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„თქვენ ხედავთ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი ტურისტია შემოსული და მინდა გითხრათ, რომ ივლისში, მოგზაურობიდან, ანუ ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, პირველად, პანდემიის შემდეგ გადააჭარბა 2019 წლის მონაცემს, ანუ, არათუ მოხდა აღდგენა და გაუთანაბრდა, არამედ გაასწრო 2019 წლის მონაცემებს და გვაქვს შემოსავლების რეკორდული მაჩვენებელი. კერძოდ: ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 476 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, როგორც მოგახსენეთ, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით მეტია, ხოლო ჩვენ თუ ამას შევადარებთ 2021 წლის მაჩვენებელს, დაახლოებით 130%-ით მეტია. ჯამურად, იანვარ-ივლისში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 მლრდ 618 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასე რომ, ექსპორტისა და ტურიზმის მიმართულებით დაფიქსირებული მსგავსი ტენდენციები, შესაბამისად, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეკონომიკური აქტივობის მიმართულებით მაღალი ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება, რაც ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს მეტ დასაქმებას, შემოსავლების ზრდასა და სიღარიბის შემცირებას“,- განაცხადა მან.

პრემიერის თქმით, ქვეყანას თითქმის 40%-იანი ზრდა აქვს ექსპორტში - ივლისში ექსპორტის რეკორდული მოცულობა, 540 მილიონი დოლარი დაფიქსირდა.

„ჩვენ თუ შევადარებთ წინა წელს, თითქმის 40%-იანი ზრდა გვაქვს ექსპორტში. ასევე მინდა ვთქვა, რომ ექსპორტის აღნიშნული მაჩვენებელი რეკორდულია როგორც წინა წლის ივლისის, ასევე, სხვა თვეებთან შედარებით. ჯამურად, იანვარ-ივლისში ექსპორტი გაიზარდა თითქმის 37%-ით და 3 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ასევე, გვაქვს ზრდა იმპორტში და ჯამურად, იანვარ-ივლისში სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა თითქმის 10 მილიარდ 200 მილიონი ამერიკული დოლარი, რაც წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 35%-ით მეტია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის ხელმძღვანელმა სხდომაზე ისაუბრა საწვავის ფასებზეც და აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, ლარი გამყარდა, ასევე საწვავის ფასები პლაცზე არის დაკლებული, ჯერ კიდევ აქვთ განცდა, რომ საწვავის ფასებმა შესაბამისად არ ჰპოვა ასახვა და არ მოხდა საწვავის ფასების პროპორციულად დაკლება, ამიტომ საჭიროა მუშაობის გააქტიურება საწვავის იმპორტიორებთან. პრემიერის განცხადებით, აგვისტოს ბოლომდე საწვავი, ჯამში 20-30 თეთრით გაიაფდება.

„ჩემი დავალებით ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრები შეხვდნენ საწვავის იმპორტიორებს. მათ რამდენიმე შეხვედრა გამართეს. ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით საწვავის ფასებს საქართველოში. მჭიდრო კოორდინაციაში ვართ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობასთან. მე დღეს დილით მქონდა საუბარი მათთან. იმის მიუხედავად, რომ ლარი გამყარდა, ასევე საწვავის ფასები პლაცზე არის დაკლებული, ჯერ კიდევ გვაქვს განცდა, რომ საწვავის ფასებმა შესაბამისად არ ჰპოვა ასახვა და არ მოხდა საწვავის ფასების პროპორციულად დაკლება, ამიტომ საჭიროა გავააქტიუროთ მუშაობა საწვავის იმპორტიორებთან. მე რეკომენდაციით მივმართე კონკურენციის სააგენტოს, რომ დაიწყონ მოკვლევა და შეამოწმონ იმპორტიორების კეთილსინდისიერება, რამდენად სწორად ხდება კონკურენციის პირობების დაცვა და ხომ არ არის რაიმე გადახრა, ხომ არ არის რაიმე კეთილსინდისიერების დარღვევა. რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ მუშაობას, შეგვპირდნენ იმპორტიორები, რომ იმის მიუხედავად, მათ ივლისშიც და აგვისტოშიც დააკლეს 10-10 თეთრით ფასი, კიდევ უფრო მეტით აპირებენ დაკლებას, ჯამში 20-30 თეთრით დააკლებენ ფასებს აგვისტოს ბოლომდე“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, რთველის სუბსიდირება მიმდინარე წელსაც მოხდება. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განმარტა, 1კგ თეთრი ყურძნის ღირებულება, სულ მცირე, 90 თეთრი იქნება. პრემიერის თქმით, არცერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება.

„მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული დარგია და ჩვენმა ხელისუფლებამ მოსვლის დღიდან გამოაცხადა მთავარ პრიორიტეტად მევენახეობა-მეღვინეობის დარგი. ჩვენი მხრიდან სწორი, ეფექტური და ხელშესახები ნაბიჯების გადადგმამ ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. შედარებისთვის, გახსოვთ ალბათ, 2012 წლამდე არათუ წახალისება არ იყო საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობის, არამედ გახსოვთ, რომ მთავრობა იყო პირდაპირ უხეშად ჩარეული და ჩვენს მევენახეებს სთხოვდნენ ვენახების გაჩეხვას და ყურძნის არჩაბარებას. მდგომარეობა იქამდე მიჰყავდათ, რომ პრაქტიკულად ყურძნის ჩაბარება აზრს კარგავდა, იმდენად გართულებული იყო ზოგადად პროცესი და სიტუაცია. მევენახეები პირდაპირ ზეწოლის ქვეშ იყვნენ, ამის არაერთი მაგალითი ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს. ასევე, შეგახსენებთ, რომ მაგალითისთვის, თუ რამდენი ათეული კომპანია იყო მევენახეობა-მეღვინეობაში, დაახლოებით 30 კომპანიამდე, წელს 300 კომპანიაზე მეტია და მათი წლიური შემოსავლები ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს. რა თქმა უნდა, ამ დარგში ჩართულია დაახლოებით 25 000-მდე მევენახე, ეს ნიშნავს მათი ოჯახების გაძლიერებას, მეტ შემოსავალს, მეტ კეთილდღეობას“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე განცხადებით, სახელმწიფო მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოუჩენს მევენახეებს. შექმნილია რთველის საკოორდინაციო შტაბი, რომელიც უკვე მუშაობს.

„ჩვენ წელს, რეკორდულ მოსავალს ველოდებით, დაახლოებით 300 000 ტონას. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი და სწორედ ყველა ამ გამოწვევისა და ფაქტორის გათვალისწინებით წელსაც, რა თქმა უნდა, გაგრძელდება სუბსიდირება. მთავრობას სუბსიდირება ჯამურად დაუჯდება დაახლოებით 150 მილიონი ლარი,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ია შველიძე

უკრაინა

უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 43 750 ჯარისკაცია ლიკვიდირებული, მათ შორის 200 ბოლო დღე-ღამის განმავლობაში. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპანტების კუთვნილი სხვადასხვა სახის აღჭურვილობაც გაანადგურეს. „მტრის საერთო დანაკარგი ასევე მოიცავს: 1 876 ტანკს, 4 141 ჯავშანმანქანას, 985 საარტილერიო სისტემას, 261 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, 136 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 233 თვითმფრინავს, 195 ვერტმფრენს, 3044 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 15 გემს/ნავს, 787 უპილოტო საფრენ აპარატს, 92 ერთეულ სპეცტექნიკას, 187 ფრთოსან რაკეტას“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

* * *

რუსი ოკუპანტები ხარკოვისა და სუმის ოლქების სხვადასხვა ტიპის იარაღიდან დაბომბვას აგრძელებენ. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ცნობით, რუსებმა სუმის ოლქის ლუტოეს, ისკრასკოვშჩინასა და ბელოვოდის დასახლებების ტერიტორიები არტილერიიდან დაბომბეს. „ხარკოვის მიმართულებით მტერმა ტანკებიდან და სარაკეტო არტილერიიდან დაბომბა სვეტლიჩნოეს, შაპოვალოვკას, პრუდიანკას, დემენტიევკას, პიტომნიკის, რუსკი ტიშკის, პობედას, ვერხნი სალტოვის, გუსაროვკას, ბაზალეევკას, სტარაია გნილიცას დასახლებები. რტიშჩევკასა და სალტოვის მახლობლად კი ავიადარტყმები განხორციელდა“, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, ვითარება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ვოლინის, პოლესკისა და სევერსკის მიმართულებებით.

* * *

რაც უფრო ძლიერი იქნება უკრაინა, მით უფრო სუსტი იქნება რუსეთი და შესაბამისად, მით უფრო ნაკლებ ხანს გაგრძელდება ეს ომი - უნდა ვიბრძოლოთ ყველა დონეზე და ყველა ფრონტზე, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისივე თქმით, ყველამ უკრაინაში და თავისუფალ მსოფლიოში უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც შეუძლიათ და ყველაფერი, რაც შეიძლება, რათა რუსეთმა და ომის მხარდამჭერებმა კიდევ უფრო დიდი ფასი გადაიხადონ ტერორისთვის. „უკრაინას ყოველთვის სურდა და სურს მშვიდობა და არაერთხელ შესთავაზა რუსეთის ხელმძღვანელობას ომის დასრულება და უკრაინული მიწის ოკუპაციისგან გათავისუფლება სხვადასხვა მოლაპარაკების ფორმატებში. მაგრამ რუსეთს ჯერ კიდევ სწამს ტერორის, რჩება თავისი პროპაგანდისტული ილუზიების მარწუხებში,“ - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინულმა არტილერიამ აღმოსავლეთ უკრაინაში დაჯგუფება „ვაგნერის“ შტაბს დაარტყა, - ინფორმაციას მედიასაშუალებები ლუგანსკის ოლქის გუბერნატორზე, სერჰი გაიდაიზე დაყრდნობით ავრცელებენ. გაიდაის თქმით, „დაღუპულთა რაოდენობა ზუსტდება“. უკრაინული მედიის ცნობით, კრემლის მხარდამჭერი რუსი ჟურნალისტის, სერგეი სრეედას 8 აგვისტოს „ტელეგრამ“ პოსტში „ვაგნერის“ შტაბის მისამართი დაფიქსირდა. პოსტი მოგვიანებით წაიშალა, მაგრამ ასლები სოციალურ ქსელებში ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ „ვაგნერს“ ომის დანაშაულებს უკავშირებენ. დაჯგუფება ყირიმსა და დონბასის რეგიონში 2014 წელს განათავსეს.

* * *

ომის ყველა ტყვე და განსაკუთრებით „აზოვსტალის“ დამცველები არიან მებრძოლები, რომლებიც კანონიერად იცავდნენ თავიანთ ქვეყანას. მაშასადამე, „მარიუპოლის ციხეები“ რუსეთის ოფიციალური სამხედრო დანაშაულია, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერში“ წერს. ის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მოქმედებისკენ მოუწოდებს. „დროა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა და მისმა პრეზიდენტმა, პეტერ მაურერმა თავიანთი მიზანი გაიხსენონ და რეპუტაციაზე იფიქრონ“, - წერს პოდოლიაკი.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა დონეცკის ოლქში სამი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. დონეცკის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პაველ კირილენკოს ცნობით, დაშავებულია კიდევ 13 ადამიანი. მისივე განმარტებით, მარიუპოლსა და ვოლნოვახაში მსხვერპლის ზუსტი რაოდენობის დადგენა ამ დროისთვის შეუძლებელია. ამასთან, უკრაინული მედიის ცნობით, რუსმა ოკუპანტებმა ქალაქი ნიკოპოლი და ნიკოპოლის რაიონი „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემიდან დაბომბეს.

* * *

სლავიანსკის, ბახმუტის, ავდიივკისა და კრამატორსკის მიმართულებებით უკრაინელმა სამხედროებმა მტრის თავდასხმები შეაჩერეს და აიძულეს უკან დაეხია, - აღნიშნულია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციაში. მათივე ცნობით, სლავიანსკის მიმართულებით რუსებმა ველიკა კომიშუვახას, ბრაზევკას, ზალიმანის, ვერნოპოლიეს, მაზანოვკასა და ბოგოროდიჩნის ახლოს საარტილერიო ცეცხლი გახსნეს, ასევე, ტიხოცკოე - დოლინას მიმართულებით შტურმი განახორციელეს, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა, დანაკარგები განიცადეს და უკან დაიხიეს. გენშტაბის ცნობით, ბახმუტის მიმართულებით, მოწინააღმდეგემ არტილერიიდან და ტანკებიდან დაბომბა ტორეცკის, ბახმუტის, ბელოგოროვკას, კურდიუმოვკას, ვასილიევკას, ზაიცევოსა და ჟელეზნის ახლომდებარე ტერიტორიები. საჰაერო დარტყმები განახორციელა სოლედარის დასახლების მიდამოში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების რატიფიკაციის პროტოკოლს ხელი მოაწერა. მანამდე, საფრანგეთის პარლამენტმა აღნიშნული ორი ქვეყნის ალიანსში მიღების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე, მაისში, ფინეთმა და შვედეთმა ნატოში განაცხადის შეტანის ოფიციალური პროცესი დაიწყეს. ალიანსის წევრობისთვის ბლოკის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო. მხარდამჭერი დოკუმენტის რატიფიცირება ნატოს წევრი 30 ქვეყნიდან 20-ზე მეტმა უკვე განახორციელა.

* * *

რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო გაფართოვდება. - ამის შესახებ საუბარია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინისადმი კორეის გათავისუფლების დღესთან დაკავშირებით გაგზავნილ მისალოც წერილში. „ამ მძიმე წლებში დამკვიდრებული მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდებული ტრადიციები კვლავ ემსახურება რუსეთის ფედერაციასა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარების საიმედო საფუძველს. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოებთ კონსტრუქციული ორმხრივი კავშირების მთელ სპექტრს“, - აღნიშნულია წერილში.

* * *

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრობისთვის ბრძოლაში რიში სუნაკს 22 პროცენტით უსწრებს. ასეთი შედეგი აჩვენა „კონსერვატიული პარტიის“ წევრების გამოკითხვამ. პარტიის 450 წევრს შორის, რომელთაც უკვე გადაწყვიტეს, როგორ მისცემენ ხმას მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში, ტრასმა 61% მოიპოვა, ხოლო ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა სუნაკმა - 39%. ტრასის მხარდაჭერის ძირითადი მიზეზები სუნაკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, საგარეო საქმეთა მინისტრისადმი ნდობა და ბორის ჯონსონის ერთგულება იყო. სუნაკის მხარდამჭერებმა განაცხადეს, რომ ის ყველაზე კარგად ერკვევა ეკონომიკაში და იყო ყველაზე კომპეტენტური ყველა კანდიდატს შორის. ახალი პრემიერისთვის ხმის მიცემა ფოსტით ხდება, გამარჯვებული 5 სექტემბერს გამოვლინდება.

* * *

ისრაელმა სირიის პორტ ტარტუში, რუსეთის სამხედრო ბაზასთან ახლოს ავიაიერიში განახორციელა. „როიტერის“ ინფორმაციით, ისრაელის სამიზნეს სირიის ტერიტორიაზე არსებული ირანული სამხედრო ობიექტები წარმოადგენდა. ისრაელის დაზვერვის წარმომადგენლების განცხადებით, რამდენიმე სარაკეტო დარტყმა განხორციელდა ირანის რადარის მომსახურე სადგურსა და ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემების მომსახურე საგუშაგოზე. სირიის შეიარაღებული ძალების ინფორმაციით, საჰაერო თავდასხმებს სულ მცირე 3 ჯარისკაცი ემსხვერპლა, 3 კი დაიჭრა.

მოამზადა
ია შველიძემ

„ვცდილობ, ერთი წამითაც არ შევწყვიტო განვითარება“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ლიკა შაინიძე ბათუმელი მოყვარული მხატვარია. 15 წლის იყო, როცა პირველად აიღო ფანქარი ხელში. ხატვა არის ის, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. გრძნობს, რომ ფუნჯი მის ხელში ჯადოსნური ხდება

დღეს ახალგაზრდა ხელოვანი ჩვენი სტუმარია და გულწრფელად გვიყვება თავის შემოქმედებაზე, განცდებსა და სურვილებზე...

- რა ადგილი და დრო უჭირავს ხატვას, ხელოვნებას შენს ცხოვრებაში?

- ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ მეტი თავისუფალი დრო მაქვს, ამიტომ ვცდილობ, საკუთარ თავზე მეტი ვიმუშაო და დრო მაქსიმალურად, შედეგიანად გამოვიყენო. 15 წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვცადე ფანქრით რეალისტური პორტრეტის დახატვა. ამ პროცესმა ძალიან გამიტაცა, რადგან აღმოვაჩინე, რომ შემეძლო ადამიანის ემოციების ფურცელზე გადმოტანა. გარშემომყოფებსაც მოეწონათ ჩემი ნამუშევრები, რამაც სტიმული მომცა, უფრო დამეხვეწა ნახატები. დღეს კი ვარ იქ, სადაც ვარ და ვცდილობ, ერთი წამითაც არ შევწყვიტო განვითარება.

- რა მიმართულებით ხატავ?

- ძირითადად, რეალისტური მიმართულებით, თუმცა ვაპირებ სხვა მიმართულებებშიც გამოვცადო თავი. ვიყენებ ზეთის საღებავებს, აკრილს, ნახშირს და ფანქრებს. ნახშირით ხატვა ახლახან დავიწყე და ბევრ სირთულეს წავაწყდი, მაგრამ აქვს დადებითი მხარეც.

- ვინ ან რა არის შენი მუზა?

- ეს დამოკიდებულია გარემოზე. ბუნებაში როცა ვარ, სურვილი მიჩნდება, ტილოზე გადმოვიტანო კადრი, რომელიც ემოციას იწვევს ჩემში. უმეტესად, ზღვას ვხატავ, რადგან ის ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ზოგჯერ მუზა მაშინ მოდის, როდესაც რაღაც დანაკლისს ვგრძნობ, ან სულიერად გამოფიტული ვარ. მუზაც რაღაც ემოციაა, რომელიც ყოველდღე გროვდება ჩვენში და გადმოვცემთ ამას, როგორც შეგვიძლია.

- რა არის შენთვის ხატვა?

- ყველა ადამიანს აქვს ისეთი საქმე, რომელიც მას ამშვიდებს, ავიწყებს ყოველდღიურ პრობლემებს. ზოგისთვის ეს მუსიკაა, ზოგისთვის - ცურვა, ქსოვა და ა.შ. მე კი ხატვა მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას.

- როგორია შენთვის იდეალური სამუშაო გარემო?

- ჩემთვის ასეთი გარემოა ჩემი სახლი, ზღვა, სიმყუდროვე და ბუნება. აუცილებელია განმარტოება. ხატვის დროს ვუსმენ კლასიკურ მუსიკას, რომელიც მეხმარება, სულიერად მამშვიდებს და კარგ განწყობაზე მაყენებს.

- თუ გაგიყიდია ან გაგიჩუქებია საკუთარი ნამუშევარი?

- ბევრი ნახატი მაქვს გაჩუქებული ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც დარწმუნებული ვარ, მოუფრთხილდებიან და მათი ნახვის შესაძლებლობა მექნება ისევ. ყველაზე ძნელია ნახატთან გამომშვიდობება, რომელსაც დიდი დრო დაუთმე და ბოლომდე დაიხარჯე. რაც შეეხება გაყიდვას, ძირითადად, პორტრეტებს ვყიდი.

- ამბობენ, რომ ხელოვნებას ადამიანი სხვა განზომილებაში გადაჰყავს.

- ხელოვნებაზე შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო. ეს არის საშუალება, რითაც ადამიანს შეუძლია გასაქანი მისცეს თავის ფანტაზიას, გადავიდეს სხვა განზომილებაში, შექმნას საკუთარი სამყარო, რომელსაც გადმოიტანს ტილოზე და გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს რეალურ სამყაროში. ჩემთვის ყოველდღიურობის ნაწილია. ხელოვანი არ ვიქნებოდი, მეოცნებე რომ არ ვყოფილიყავი. მხიბლავს მხოლოდ მატერიალური. ვცდილობ, დავინახო და გამოვცადო უფრო და უფრო მეტი. მიზიდავს ხელოვნების მრავალფეროვნება და ყველგან ვხედავ მას.

- ქართველი ხელოვანებიდან ვის შემოქმედებას აფასებ?

- განსაკუთრებით გამოვარჩევდი ელენე ახვლედიანს. მისი ნამუშევრები ბავშვობისას დიდ აღტაცებას იწვევდა ჩემში. მისი გამორჩეულობა, პეიზაჟები, არქიტექტურული ნახატები, უბრალოება და სინაზე ყოველთვის მიზიდავდა.

- როგორ ფიქრობ, რა არის ხელოვნება მხატვრისთვის და რა - დამთვალიერებლისთვის?

- ხელოვნება მხატვრისთვის არის ყოველდღიური გამოწვევა. ის შთააგონებს შემოქმედს. გვაქვს შეგრძნება, რომ აღმოსაჩენი ჯერ კიდევ ბევრია. როდესაც ნახატს ქმნი, თავისუფლებას განიცდი, შეიძლება დახატო ის, რაც სიამოვნებას განიჭებს, ან პირიქით - გრთგუნავს და გსურს, მაყურებლამდე მიიტანო. ხელოვანისთვის ხელოვნება საკუთარი თავის გამოხატვის კარგი საშუალებაა. ვფიქრობ, დამთვალიერებლისთვისაც იგივეა, ის სიამოვნებით ათვალიერებს, ცდილობს ჩაუღრმავდეს მხატვრის ხედვას და განიცდის იმავეს, რასაც ავტორი. ადამიანის ცხოვრება შემოქმედების გარეშე სიცარიელის შეგრძნებითაა სავსე. შემოქმედი ადამიანი ყოველთვის ქმნის რაღაც ახალს და საინტერესოს, ამით ივსებს სიცარიელეს.

„მჯერა ყოველდღიური, ყოველწამიერი სასწაულების“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გაგაცნობთ ბათუმელ ახალგაზრდა პედაგოგს და დამწყებ მწერალს დარინა აბულაძეს. ის ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ ფინალისტია. დარინას საკონკურსო ნაწარმოებმა სახელწოდებით „დამიჭერე, არ დამიჭერო“ ხალხის კეთილგანწყობა და სიყვარული მალევე მოიპოვა. როგორც თავად გვითხრა, ფინალისტობა მისთვის გამარჯვების ტოლფასი იყო. ინტერვიუში ნათლად ჩანს მისი პოეტური სული და განსაკუთრებული შინაგანი სამყარო

ის თავის ბავშვობაზე, პროფესიასა და კონკურსიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება.

- დარინა, თქვენს ბავშვობასა და ოჯახზე გვიამბეთ.

- ოჯახი ჩემთვის საგანძურია. ხშირად ვფიქრობ, რომ მშობლებისა და და-ძმის გარეშე ცარიელი კაფსულა ვიქნებოდი, ყოველგვარი დანიშნულების გარეშე. ალბათ იმიტომ, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთისგან სრულიად განვსხვავდებით განწყობებით, მიზნებითა და უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, ერთმანეთს ვავსებთ. დედმამიშვილებში უფროსი ვარ და რაც თავი მახსოვს, ჩემს ძმას - გიორგის, ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღვიქვამ. პოეტური ბუნების ვარ და მჯერა ყოველდღიური, ყოველწამიერი სასწაულების. პირველი დიდი სასწაულის მომსწრე კი 8 წლის ასაკში გავხდი, როცა ჩემი სათამაშო თოჯინები „ცოცხალმა თოჯინამ“, ჩემმა დამ - თამარმა ჩაანაცვლა. მოლეკულასავით შემოიჭრა ჩვენს ოჯახში, შემოიტანა სიყვარული და მოგვევლინა ბედნიერების ვიტამინად.

- რა გიტაცებდათ პატარაობაში?

- როგორც ყველა 90-იანელი, მეც „ეზოს თაობა“ ვარ. ძალიან მიყვარდა მასწავლებლობანას თამაში. ერთდროულად მოსწავლე-მასწავლებლის როლს ვირგებდი და გაკვეთილების ინსცენირებით ვერთობოდი. არასწორად ვხსნიდი მაგალითებს, ან ვწერდი სიტყვებს და შემდეგ საკუთარ თავსვე წითელი კალმით ვუჭრელებდი ნაშრომს. ზოგადად, მაქსიმალისტი და თვითკრიტიკული ვარ. ამ თამაშშიც კი, მკაფიოდ წარმოვაჩენდი დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი, რომლისგანაც უფრო მეტს მოვითხოვდი.

- რა პროფესია აირჩიეთ და რატომ?

- ბათუმის მე-10 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ჩვენი კლასისთვის ბოლო ზარი 2011 წელს დაირეკა. სკოლა ჩემთვის სრულიად სხვა, არასასურველი გარემო აღმოჩნდა, განსაკუთრებით, დაწყებითი საფეხური. ამიტომაც პირველი კლასიდან მტკიცედ გადავწყვიტე მასწავლებლობა. მსურდა, დამემსხვრია სტერეოტიპები, იარლიყები. ვყოფილიყავი ემპათიური და სასურველი მასწავლებელი.

- პირველი წარმატება...

- რატომღაც, პირველ წარმატებაზე მუდამ გაზეთი „აჭარა პ.ს.“ მახსენდება. 16 წლის ასაკში, წვიმიან დღეს, ჩემში მამაცმა გოგონამ გაიღვიძა და სახლიდან გავიპარე ახალი გზის საძიებლად. ასე აღმოვჩნდი გაზეთ „აჭარა პ.ს.“-ის პროექტის ფარგლებში, ჟურნალისტურ სამყაროში. პირველად მაშინ გავიაზრე, რომ უკვე დიდი და დამოუკიდებელი გოგონა ვიყავი. ეს მასწავლებლობაზე უარის თქმა - არა, უფრო საკუთარი თავის ძიება იყო. ვეძებდი რაღაცას და არ ვიცოდი - რას. ამ პროექტის შესარჩევ ეტაპზე 5 სრულიად განსხვავებული სიტყვისგან 5 წუთში დაწერილმა ჩანახატმა გადაწყვიტა ჩემი ჯგუფში ჩარიცხვის საკითხი. ყოველთვის მიყვარდა წერა. მანამდეც ვწერდი პატარ-პატარა ლექსებს, ჩანახატებს, მაგრამ ეს განსაკუთრებულ მოვლენად არ მიმაჩნდა. შესაბამისად, არც არავის ვუზიარებდი. ამ პროექტის საშუალებით აღმოვაჩინე პატარა, გაუბედავი, მაგრამ გულის სიღრმეში ამბიციური „მწერალი“. ცხოვრების ამ ეტაპმა, ჯგუფელების შექებამ და გარემომ მომცა ჯადოსნური ნივთი - კალამი და მიმახვედრა, რომ ეს იყო ჩემი სულიერი ცხოვრების გასაღები. შემდეგ ბავშვობის ოცნებისთვის ფრთების შესასხმელად ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჩავაბარე. 2016 წელს სწავლა მაგისტრატურაზე, ლიტერატურის განხრით, გავაგრძელე. ამავე წელს წარმატებით გავიარე მასწავლებლის გამოცდა და მივიღე უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

- როგორ მოხვდით კონკურსში „გახდი ბესტსელერის ავტორი“?

- მეგობრის დაყინებული თხოვნით მივიღე მასში მონაწილეობა. ნაწარმოების გაგზავნამდე 3 დღით ადრე მარიმ სოცქსელით ბმული გამომიგზავნა - „დარჩა 3 დღე“... რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, 3 დღეში ჯადოქარი ხომ არ ვარ, რა უნდა დავწერო, ვმუშაობ და დროც არ მაქვს-მეთქი, მაგრამ მარიამი ჩემზე ჯიუტი აღმოჩნდა და „მაიძულა“, მიმეღო ეს ახალი გამოწვევა. სიმართლე გითხრათ, აბსურდულად მიმაჩნდა, რადგან არასდროს მიფიქრია რომანის დაწერა, თანაც 3 დღეში, დაუფიქრებლად და გაკვეთილების ონლაინრეჟიმის პარალელურად. მოკლედ, ბოლო წამებში, გავგზავნე ნაწარმოების „დამიჭერე, არ დამიჭეროს“ პირველი ნაწილი. ისე სწრაფად ვწერდი, რომ გადაკითხვისა და რედაქტირების დრო არ მქონდა... საერთოდ, არ ველოდებოდი, ასეთ „მისამშაბათებულ“ ნაწარმოებს თუ მიიღებდნენ. კონკურსანტთა სიაში რომ აღმოვჩნდი, რაც მეგობარმა მომახარა, ძალიან გამიხარდა და დიდი პასუხისმგებლობით გავაგრძელე და დავასრულე რომანი. წესების თანახმად, ფინალში გადადიოდნენ პირველ ათეულში მოხვედრილი კონკურსანტები და ჟიურის რჩეულები. ფარხმალდაყრილი რომ შევესისხლხორცე მე-13 ადგილს (ალბათ, ჩემი პერსონაჟი, ევა იტყოდა - ნიშანი იყოო), ბოლო დღეს, არ ვიცი როგორ, მე-10 ადგილას აღმოვჩნდი და ავტომატურად გადავედი ფინალში. ეს იყო ამ წლის ყველაზე ბედნიერი, აზარტული და დასამახსოვრებელი დღეები! ფინალისტობა გამარჯვების ტოლფასია ჩემთვის. ბევრი უცნობი თუ ნაცნობი ადამიანი აღმოვაჩინე. ბევრი ახალი მეგობარი შევიძინე. ბევრი უთქმელი სიტყვა, საბედნიეროდ, ვუთხარი ჩემთვის ძვირფას ადამიანებს და ბევრმაც აღმომაჩინა, ალბათ... დღემდე მწერენ, მიმეგობრდებიან ნაცნობები თუ უცნობები და რომანის სრულ ვერსიას მთხოვენ, რაც ძალიან მაბედნიერებს.

- ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

- ვფიქრობ, რომ საკუთარ შემოქმედებით უნარს უფრო მეტად ჩანახატებსა და საბავშვო მოთხრობებში წარმოვაჩენ. მეგასკოლის მხარდაჭერით, დაიბეჭდა მარიამ კალანდარიშვილის მიერ ილუსტრირებული ჩემი პატარა მოთხრობა „ბრინკა“, რომლის პრეზენტაციასაც ახალ სასწავლო წელს, სასკოლო გარემოში ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, მოთხრობა მორგებულია ესგ-ს (ეროვნული სასწავლო გეგმა) სტანდარტებს, შესაბამისი კოგნიტური სქემებით. ვმუშაობ კიდევ ორ მოთხრობაზე. გამოგიტყდებით, რომ როცა საქმე ბავშვებს ეხება, ზედმეტად მგრძნობიარე ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ცხოვრებაში სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებებს, რისკიანი ვარ, საბავშვო მოთხრობების წერას დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით ვეკიდები. შესაბამისად, ძალიან დიდ დროს ვუთმობ.

- რა გსიამოვნებთ ყველაზე მეტად?

- რამდენი წლის ხარო, რომ მეკითხებიან, ყოველთვის ვპასუხობ, - 22. შინაგანად მართლაც, 22 წლისად ვგრძნობ თავს. გარკვეული გარემოებების გამო, სტუდენტობიდან 26 წლამდე დიდი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები დავკისრე საკუთარ თავს. სწავლის პარალელურად ყოველთვის ვმუშაობდი და საკუთარი თავისთვის ვერასდროს ვიმეტებდი დროს. ახლა კი, როცა ასე თუ ისე, ვახერხებ „დროის მოპარვას“, ვცდილობ ავინაზღაურო დაკარგული დრო და ვიყო 22 წლის გოგონა, შესაბამისად, ყოველთვის მეგობრებთან ერთად ვსეირნობ, ვმოგზაურობ, ვკითხულობთ წიგნებს, ვუყურებთ ფილმებს და განვიხილავთ.

- რა არის ბავშვებთან ურთიერთობა თქვენთვის, როგორც პედაგოგისთვის?

- ციტირებას გავაკეთებ ჩემივე ნაწარმოებიდან - „ბავშვობა არ არის უდარდელი ხანა, ბავშვობაში მოგზაურობაა ბედნიერება...“ - ამგვარად, ბავშვებთან ურთიერთობა ჩემთვის ბედნიერებაა და ამავდროულად, ერთგვარი ფეისკონტროლი, პიროვნული ზრდის საზომი და ადამიანობის ფორმულა. თითოეულ მოსწავლეს საკუთარ სარკედ აღვიქვამ და როცა ვაღებ საკლასო ოთახის კარებს, არის ერთი რაღაც უჩვეულო წამი, მოლოდინი, თუ რას დავინახავ სარკეში. როგორ გავლამაზდები, გავიზრდები. არ არსებობს ცუდი და კარგი ბავშვი, კარგი და ცუდი მასწავლებელი, არსებობს საქმის სიყვარული, ბავშვსა და სასწავლო პროცესზე მორგებული, მიზნის მისაღწევი მეთოდები და მიდგომები. მთავარი გულწრფელი ურთიერთობებია. პიროვნული განვითარება, მოქალაქეობრივი ზნე-ჩვეულებების ჩამოყალიბება და თავისუფლად აზროვნება. ამიტომაც ჩემთვის, ქართულის მასწავლებლისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, ჩემს მოსწავლეს გრძელი ლექსი ეცოდინება თუ არა ზეპირად. ჩემი მთავარი მიზანია, მოსწავლე ფლობდეს ინფორმაციას, იაზრებდეს, მსჯელობდეს, ითავისებდეს, ქმნიდეს რაღაც ახალს და მიღებულ ცოდნას იყენებდეს ცხოვრებაში ზრდისა და წარმატებისთვის, ბედნიერებისთვის, ადამიანობისთვის.

- რა გეგმები გაქვთ?

- პირველ რიგში, პროფესიული განვითარება. მსურს პედაგოგის სტატუსის ამაღლება - წამყვანი მასწავლებლობა. ასევე, ვგეგმავ საბავშვო მოთხრობების წერის გაგრძელებას.

ბათუმი სულ მალე კიდევ უფრო იამაყებს, რომ ცოტნე ზედგინიძემ ჩვენს ქალაქში დაუკრა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

4 აგვისტოს გაიხსნა და 12-ში დაიხურა უდიდესი კომპოზიტორის გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალი (დამფუძნებელი ხელოვანთა კავშირი „კონცეპტ-არტი“, ხელმძღვანელი - თეონა ჯორბენაძე). ბათუმის მერიის ხელშეწყობით, ხუთი საფესტივალო საღამო გაიმართა, რომლებმაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ყველას, ვინც თუნდაც ერთ მათგანს დაესწრო

საფესტივალო პროგრამა მრავალფეროვანი იყო როგორც ჟანრობრივად, ისე თემატურად. ვიხილეთ და მოვუსმინეთ ახალი თაობის არაერთ კაშკაშა ვარსკვლავს, ვნახეთ უკანასკნელი დოკუმენტური ფილმი გია ყანჩელზე - „სევდის ანგელოზები“. ამ დღეებს ჩვენი გაზეთი პერიოდულად აშუქებდა, მაგრამ ფესტივალის მთავარი მოვლენა გახდა დასკვნითი საღამო, რომელიც ბათუმის ხელოვნების ცენტრში გაიმართა. სცენა დაეთმო ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს, რომლის მთავარი დირიჟორია კომპოზიტორი და პიანისტი ნიკოლოზ რაჭველი, ასევე, ვუნდერკინდ პიანისტსა და კომპოზიტორს, 12 წლის ცოტნე ზედგინიძეს, ალტისტ გიორგი ცაგარელს და ჯაზის ცნობილ პიანისტ ბექა გოჩიაშვილს.

ამ ბრწყინვალე საღამოს თავად მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი უძღვებოდა და გზადაგზა უფრო ახლოს გვაცნობდა გამომსვლელთა შემოქმედებას.

- საოცარი დღესასწაულების მომსწრე ვართ ამ ფესტივალის დაარსებიდან დღემდე. საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი არც წელს ღალატობს ტრადიციას. მასში მონაწილეობა 10 აგვისტოს, გია ყანჩელის დაბადების დღეზე ბათუმში ყოფნა ბოლო წლებია, თითქოს ტრადიციად გვექცა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ შინაგანი ვალდებულება, მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევებში გადაინაცვლებს. მსოფლიომ იცის, რომ ახლა ჩვენს მოძმე სახელმწიფოში ომი მიმდინარეობს. ეს არ არის მარტო უკრაინის ომი, ეს ჩვენი ომიცაა, - აღნიშნა ნიკოლოზ რაჭველმა, რის შემდეგაც ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები შეასრულა.

კონცერტი დაიწყო უკრაინელი კლასიკოსის მიროსლავ სკორეკის ნაწარმოებით, რომელიც, როგორც წამყვანმა გვითხრა, მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, ამ ქვეყნის მხარდასაჭერად მსოფლიოს სიმფონიური და კამერული ორკესტრების რეპერტუარში შევიდა და დიდ საკონცერტო დარბაზებში ასრულებენ.

ნიკოლოზ რაჭველმა დარბაზს წარუდგინა ახალგაზრდა, ნიჭიერი და-ძმა უკრაინიდან - ვლადი და ეკატერინა კორენები და აღნიშნა, რომ ისინი მას საქართველოში უკრაინის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში შეხვდნენ. მთელი მათი ოჯახი იძულებით გადაადგილდებოდა. არიან ზაპოროჟიედან. მათი ბებია და ბაბუა ჯერ კიდევ უკრაინაში იმყოფებიან, ბავშვები ყოველდღე უკავშირდებიან მათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდ ამბებს იგებენ. როგორც გაირკვა, მოზარდებს სამშობლოში დაწყებული ჰქონდათ გიტარაზე დაკვრის შესწავლა. როცა აქ ჩამოვიდნენ, პედაგოგის გარეშე დარჩნენ. ნიკოლოზ რაჭველმა და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, მათთვის მასწავლებელი ეპოვათ. ასეც მოხდა. ბათუმური კონცერტი მათთვის ერთ-ერთი პოზიტიური დღე აღმოჩნდა. ჯერ ვლადმა ინდივიდუალურად შემოგვთავაზა რამდენიმე ნაწარმოები, მერე დაიკოსთან ერთად დაუკრა, ბოლოს კი ლამაზი სიურპრიზი შემოგვთავაზეს - გია ყანჩელის მუსიკა.

ცოტნე ზედგინიძის წარდგენაც ნიკოლოზ რაჭველმა აიღო თავზე.

- მთავარი სათქმელია ის, რომ ჩვენს ქვეყანას დღეს ჰყავს ვუნდერკინდი. როდესაც მას პირველად მოვუსმინე, 9 წლის იყო. რა მუსიკასაც წერდა, როგორაც აზროვნებდა, იმ წამს მაგრძნობინა, რომ ჩვენ გვყავს ქართველი მოცარტი. დღეს ევროპას დაუბრუნდა მოცარტი საქართველოდან, მაშინ ყველამ გაიაზრა, რამდენად დიდ მოვლენასთან გვაქვს საქმე. თავისთავად ცოტნეს საკომპოზიტორო აზროვნება ძალიან რთულია. თავდაპირველად ის შემოგთავაზებთ ერთ პატარა საფორტეპიანო პიესას, რომელიც გია ყანჩელს მიუძღვნა. მაშინ გია ყანჩელი უკვე ძალიან ავად იყო, მალე გარდაიცვალა. ცოტნემ მასთან შეხვედრა მოასწრო და მახსოვს ყანჩელის სიტყვები: ახლა მშვიდად ვარ, გახარებული მივდივარ ამ ქვეყნიდან, რადგან მოვესწარი ამ მოვლენას სამშობლოშიო. სულ ცოტა ხნის წინ ცოტნე დაბრუნდა ვერბიეს მუსიკალური ფესტივალიდან (ეს არის იგივე დონის ღონისძიება კლასიკური მუსიკის ფესტივალებში, რაც კინოსთვის ოსკარების დაჯილდოების ცერემონია). იგი ამ ფესტივალის მთავარი მოქმედი გმირი გახდა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ

თავიდან შესაძლოა, ეს ნათქვამი ზოგმა, შეიძლება, ხატოვნად მიიღო, მაგრამ სულ რაღაც 6-8 თვეში, როდესაც მსოფლიო კლასიკური მუსიკის ერთ-ერთმა დიდმა წარმომადგენელმა გერმანიაში საზოგადოებას და პრესას განუცხადა, რომ

იხ. მე-8 გვ.

ეკა ჭითავა: არასდროს მეზარება ცოდნის გაზიარება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ერთი წელია, ინტერნეტსივრცეში პოპულარობა მოიპოვა ლიტერატურულმა ჯგუფმა „წიგნიპედიამ“, რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ***ეკა ჭითავაა*** *- ახალგაზრდა, მშვენიერი კოლხი ქალბატონი, პოეტი, წარმატებული პედაგოგი და ორი უკარგესი შვილის დედა. იგი თავის გულისნადებს დროდადრო მკითხველსაც უზიარებს ლიტერატურულ გამოცემაში, უფრო მეტად კი ზრუნავს იმისთვის, რომ ახალგაზრდებში წიგნის სიყვარული და ლიტერატურული გემოვნება განავითაროს. „წიგნები ჩემთვის ადამიანებივით არიან“, - ამბობს ის და ამ ინტერვიუთი თავისი თვალსაწიერის ჰორიზონტს გადაგვიშლის.*

- წარმოადგინეთ საკუთარი პერსონა...

- მე ვარ ეკა ჭითავა, 34 წლის, ინგლისური ენის პედაგოგი. სულ რამდენიმე სიტყვით წარმოგიდგენთ თავს. მიყვარს უბრალოება, გულწრფელობა და ზომიერება. რასაც ვერასოდეს შევეგუები, ფარისევლობა და უსამართლობაა. ამ დროისთვის ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილი ჩემი გზადაკარგული სამშობლოა.

- როცა ბავშვობის დღეებს იგონებთ...

- „ბავშვობა ეს არის სიცილი და მუდმივი გაზაფხული“. მასთან სილაღე და სიფერადე მაკავშირებს. როცა ადამიანების შეცნობას სწავლობ, ალბათ იქ მთავრდება ბავშვობა, როცა აცნობიერებ, რომ მხოლოდ ოცნებით ვერაფერს მიაღწევ და მის ახდენას ბრძოლა სჭირდება. დღემდე ამ ბრძოლის ველზე ბავშვობის მოგონებები მაძლიერებს.

- ადამიანები, რომლებსაც ემადლიერები და თქვენთვის სამაგალითონი არიან ან იყვნენ...

- ჩემთვის სამაგალითო ჩემი წინაპრები არიან და ყოველთვის მოწიწებით ვიხსენებ მათ - სუფთა და ალალ-მართალ გზაზე მოსიარულენი. მათგან ვისწავლე მოყვასის სიყვარული და მტრისთვის საკადრისის მიგება. ბაბუა მასწავლიდა, რომ არავისთვის მეთხოვა დახმარება, თუკი მისი გაკეთება დამოუკიდებლადაც იყო შესაძლებელი. არ მიყვარს ვინმეს წინაშე ვალში ყოფნა. ამ პრინციპმა ჩამომაყალიბა დამოუკიდებელ ადამიანად. ბევრ ადამიანს შევხვედრივარ ცხოვრების გზაზე, კარგ ადამიანებს არასოდეს ვივიწყებ, ხოლო ცუდებს ვაკვირდები და ვსწავლობ, თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს ადამიანი. ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, მიმეღო ხარისხიანი განათლება და ყოველთვის მყვარებოდა ის საქმე, რომელსაც ავითვისებდი. არც ისე იოლი იყო უცხო ქალაქში მარტო ყოფნა, საკუთარ თავს ვამხნევებდი და წინ მივუძღოდი. სირთულეებთან ერთად, ბევრი მზიანი დღეებიც მქონდა. ვისურვებდი, ჩვენ ქვეყანაში სტუდენტს მეტი ხელშეწყობა ჰქონდეს მთავრობისგან.

- ნამდვილად დიდი მიღწევაა - თქვენ დედანში კითხულობთ შექსპირს... გაგვიზიარეთ ემოციები.

- დიახ. ბავშვობაში გავეცანი მის პიესებს და სონეტებს. შექსპირის, ბაირონის და დიკენსის სიყვარულმა განაპირობა, რომ სპეციალობად ინგლისური ენა და ლიტერატურა ავირჩიე. შექსპიროლოგია დეტალურად შევისწავლე და ვთვლი, რომ მისი მსოფლიო აღიარება სრულიად სამართლიანია. შესანიშნავი განცდა მეუფლება ყოველ ჯერზე მის ემოციურ სასიყვარულო და ცხოვრებისეულ მონოლოგებზე.

- როცა ცოდნასა და სიყვარულს სხვას უწილადებ...

- ყოველთვის მზად ვარ გავცე ყველა სასარგებლო ინფორმაცია, რომელიც ვიცი. არასოდეს მეზარება ცოდნის გაზიარება. ვფიქრობ, ცოდნის გაზიარებით, ჩვენში მეტად მყარდება ის და სრულიქმნება. ხოლო რაც შეეხება სიყვარულს, თუ მიყვარს, მიყვარს ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე და ამას გრძნობს ყველა ჩემი პრაქტიკული მოქმედებით.

- მალე სასკოლო ზარი ახმიანდება. თქვენ საკლასო ოთახში უკვე მეათე წელია, რაც შეაბიჯებთ როგორც მასწავლებელი... ამ ხნის განმავლობაში რა შეძელით როგორც ნოვატორმა პედაგოგმა?

- 2011 წლიდან ჩართული ვარ საგანმანათლებლო პროცესში. დღემდე პროფესიულად ვიზრდები. მასწავლებლობა არ ნიშნავს მხოლოდ საგნის სწავლებას. მოსწავლეებს ვეხმარები ფიზიკური და გონებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში, საზოგადოების და ქვეყნის წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში. მასწავლებლების როლი დიდია პროგრესულად მოაზროვნე თაობების შექმნაში. სოციალურ საკითხებზე მსჯელობა ჩემი ყოველი გაკვეთილის განუყოფელი ნაწილია.

- ხელოვნება გიყვართ, პოეზია კი - გამორჩევით... ამიტომაც შექმენით ფეისბუქზე „წიგნიპედია“?... ამ ჯგუფის დანიშნულება და სამომავლო პერსპექტივები...

- ერთი წელია, რაც ჯგუფი შევქმენი. მინდოდა, ინტელექტუალური წრე შემეკრა, ჯგუფში ყოფილიყო ლიტერატურული დისკუსიები, ჯანსაღი და არგუმენტირებული დიალოგები. გავაერთიანე ჩემი მოსწავლეები და, რეალურადაც, სკოლაში შევქმენით კუთხე ამავე სახელწოდებით. ვარჩევთ ავტორებს, წიგნებს და შემდეგ ჯგუფის წევრებს ვუზიარებთ მიღებულ ცოდნას. ასევე, მიზნად დავისახე ჩრდილში მყოფი და საზოგადოებისგან ვერშემჩნეული ნიჭიერი ადამიანების გამომზეურება. ინტერნეტსივრცეში ბევრი ლიტერატურული გვერდია, უმრავლესობის მიზანი მომწონებელ-გამზიარებლების რაოდენობაა და არა ხარისხის დაცვა. მე პირიქით ვფიქრობ, მთავარი ხარისხია. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, რომელიც მინდა მკითხველმაც გაიზიაროს.

- წიგნები, რომლებიც ადამიანებივით გიყვართ...

- მიმაჩნია, რომ წიგნი უალტერნატივო განმანათლებელია, სულიერების ასამაღლებლად საჭიროა მათთან უწყვეტი ურთიერთობა. წიგნები ჩემთვის ადამიანებივით არიან. ჩემთვის გამორჩეულ, პირველ ადგილს ჩვენი ბუმბერაზი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას წიგნები იკავებს. მისი შემოქმედება ქართული სიტყვის ზეიმია. ასევე, მიხეილ ჯავახიშვილის და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება.

- ლექსებს წერთ, აქვეყნებთ კიდეც, როგორი განცდა გეუფლებათ, როცა სათქმელი ფურცელზე გადადის?

- პოეზია მთელი ჩემი სამყაროა. მასში გაზიარებულია ჩემი სულიერი მდგომარეობა, გონებრივი წარმოდგენები. ჩემი პოეზია ჩემსავით გულწრფელია, ფიქრობ, ჯერ არაფერი შემიქმნია, რის გამოც შეიძლება პოეტად ვიწოდებოდე. ამისთვის ვკითხულობ მეტს, ვეცნობი ღირებულ პოეზიას და ლიტერატურულ წერილებს. მირჩევნია, ვიყო კარგი მკითხველი და ვარჩევდე ნამდვილ პოეზიას, ვიდრე ვიყო ცრუ მაქებრების მიერ წახალისებული, შემოქმედებითად ვერგაზრდილი „პოეტი“. არ მიზიდავს ყალბი მქუხარე ტაში და წახალისებული უნიჭობა.

- მაინც, რა არის წუთისოფელი? რაზე ოცნებობთ? რას ნატრობთ?

- რა არის წუთისოფელი? თითქოს ადვილი კითხვაა, მაგრამ რთულად პასუხგასაცემი. ალბათ ადგილი, სადაც ვიცდებით და ვითმენთ სხვა უკეთესი, მარადიული განზომილების მოლოდინით. ჩემთვის, როგორც ამ ცხოვრების უკულმართობის ღრმად განმცდევი ადამიანისთვის, წუთისოფელი სახეირო რამ არ არის. ის ჩემთვის მუდმივად საფიქრალი და დასაკვირვებელია. საბოლოო პასუხი არ მაქვს.

იხ. მე-7 გვ.

ორი რეგიონის ერთობის დღესასწაული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ხულოს ბიუროს უფროსი ლენა მამულაძე, ოპერატორი ზვიად აბულაძე იყვნენ ჩვენი მეგზურები, როცა ხულოდან აჭარა-გურიის მთებში დავანებულ სახალხო დღესასწაულ «ზოტიყელობაზე» რეპორტაჟის მოსამზადებლად გავეშურეთ

თაობებს ახსოვთ ის დაფლატულ-დაღარული საავტომობილო გზა, რომელიც ღორჯომის ხეობას მთა ზოტიყელთან და კურორტ ბახმაროსთან აკავშირებდა. ახლა ამ საკომუნიკაციო საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილი ბეტონის საფარითაა მოპირკეთებული. სულ მალე ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს გზაზეც ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება.

წარმოუდგენელია მთისკენ მიმავალმა ლელთის წყაროს ჩაუაროს და მასთან ყელი არ გაისველოს. ჩვენც დავყოვნდით თუ არა, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ზაურ გობაძე მეგობრებთან ერთად თავს დაგვადგა. ის მთა ჯანჯღნარში მოსახლეობასთან შესახვედრად, «შუამთობის» დღესასწაულის მოსალოცად მიდიოდა.

მუდამ ღრუბლებითა და ნისლით დაბურული ჩრდილას გადასასვლელი ამჯერად მზის სხივებით განათებულ-გაჩახჩახებული დაგვხვდა. «ზოტიყელობის» სახალხო ზეიმის მონაწილეებს უკვე ცეკვა-თამაში გაემართათ. პირველი, ვინც შეგვხვდა, კურორტ ბახმაროს დირექტორი დავით საჯაია იყო. იგი ამ სახალხო დღესასწაულის აქტიური მონაწილეა. წლებს ითვლის მისი და ღორჯომელი ვახტანგ ბერიძის, ოთარ ჭელიძის, გოჩა ირემაძის, რეზო მიქელაძის მეგობრობა.

- პირველ რიგში, დამსწრეებს სახალხო ზეიმს ვულოცავ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ გაზეთი «აჭარა» ყურადღების გარეშე არ გვტოვებს. მადლობა მის შემოქმედებით ჯგუფს. 19 აგვისტოს ბახმაროში დოღი იმართება. «აჭარის» ჟურნალისტებს იქაც გეპატიჟებით. გეტყვით, რომ კურორტ ბახმაროს განვითარებას რიგი პროექტები ხელს შეუწყობს. უკვე დაწყებულია მოძრაობა, რომ ბახმარო და კურორტი გოდერძი ერთმანეთს ბაგირგზით დაუკავშირდეს. ეს საკომუნიკაციო საშუალება აჭარასა და გურიის მთებიდან ზამთარში მიმოსვლას გააიოლებს. მალე ამ პროექტის საჯარო წარდგინება გვექნება, - გვითხრა დავით საჯაიამ.

ზოტიყელი მთაში არსებული პატარა ქალაქია, - ასე შეაფასა ჩვენმა კოლეგა ლენა მამულაძემ ზოტიყელის მთა, როცა აქაურობას თვალი შეავლო. 260-ზე მეტი სახლი აქვთ აქ ღორჯომელებს, ემსახურებათ სავაჭრო და სამედიცინო ობიექტები. სახალხო დღესასწაულს სტუმარი არასოდეს მოკლებია.

«ზოტიყელობას» თამაზ ირემაძემ და იოსებ ვანაძემ 21-ე საუკუნის დასაწყისში დაუდეს სათავე. ესტაფეტას თემურ ირემაძე და სხვები აგრძელებენ. ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე ღორჯომის ხეობიდანაა. მისი წინაპარი სულეიმან ბერიძე ეთნოგრაფისა და მწერლის თედო საბოკიას მეგზური იყო. მისი მშობლები ზაფხულს ამ მთაში ატარებენ. წინამორბედების დაწყებულ საქმეს ახლა ის განაგრძობს. პარდემიის პერიოდშიც თანახეობელებთან იყო და სახალხო დღესასწაულს ულოცავდა.

წლევანდელი ზეიმი მეტწილად მონატრების, ერთმანეთზე მოფერების, სპორტული ჟინის დაკმაყოფილების, კულტურული ღონისძიებების დემონსტრირებად იქცა.

ასეულობით ღორჯომელმა, ქვეყნის რეგიონებიდან და ქალაქებიდან, უცხოეთიდან მოსულმა ადამიანებმა ნახეს სპორტული პაექრობანი ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, ფრენბურთში და, რაც მთავარია, ჯირითში. ღორჯომელებთან ერთად ძალები გურიის რეგიონის წარმომადგენლებმაც მოსინჯეს. ქართულ ჭიდაობაში 60 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ღორჯომელი ფირუზ ხარაბაძე იყო, 80 კგ წონით კატეგორიაში - ჩოხატაურელი ლადო ჭანტურია. საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ჯემალ ხარაბაძემ მეტოქესთან ორი ქუსლაღებით გამარჯვება მოიპოვა. მკლავჭიდში უძლიერესი სულიკო პაიჭაძე და რამაზ ჭელიძე იყვნენ.

სპორტული პაექრობის ფონზე, შეკრებილებს სახალხო დღესასწაული მიულოცეს ხულოს, ქედის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მერებმა ვახტანგ ბერიძემ, როლანდ ბერიძემ, დავით შარაშენიძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საკრებულოს წევრმა, ღორჯომელთა მაჟორიტარმა თემურ ადაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ღორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯემალ ბერიძემ.

- ეს მთა მრავალ ადამიანს იზიდავს, - გვითხრა მემთეურმა აიშე ადაძემ, - ჩვენი ოჯახი 10 მეწველ ძროხას უვლის. 30 კილოგრამ კარაქს, ნახევარ ტონაზე მეტ ყველს და 300 კილოგრამ ნადუღს ვაგროვებ. აქ დამზადებული პროდუქტები ბაზარზე გაგვაქვს, ნაწილს კურორტ ბახმაროში ვყიდით. წინასწარი ვარაუდით, მეცხოველეობა ჩვენს ოჯახს 12-15 ათასი ლარის შემოსავალს დაუტოვებს. გარდა მეცხოველეობისა, ვთესავთ კარტოფილსა და სხვა ბოსტნეულ-ბაღჩეულს. ნამეტი მოსავალი ბაზარზე გაგვაქვს.

აიშეს მსგავსად, მარტო მთა ზოტიყელში 250-ზე მეტი მემთეური საქმიანობს. დღესასწაულს, პირველ რიგში, ყველა მათ ულოცავდა.

- «შუამთობის» ანუ «ზოტიყელობის» დღესასწაულზე პირველად ვარ, - თქვა «აჭარასთან» საუბარში დავით შარაშენიძემ, - მადლობა ჩემს კოლეგებს, რომ ამ ზეიმის მონაწილე გამხადეს. მუნიციპალიტეტების პირველი პირები ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. ჩოხატაურის იმ სოფლებში, სადაც აჭარიდან ჩამოსულები სახლობენ, დიდი სიამოვნებით მივდივარ და მათ წინადადებებს, სურვილებს ვითვალისწინებ. ასეთი დღესასწაულები ძალიან მიხარია. მის პოპულარიზაციას ხელს შევუწყობთ.

ცხენი, მარულა ისე არსად ფასობს, როგორც ღორჯომის ხეობაში. ყველაზე მეტი გულშემატკივარი სწორედ სპორტის ამ სახეობას ჰყავს. ჯერ იყო და მოზეიმეებმა 2-კილომეტრიან დისტანციაზე მოსინჯეს ძალები. პირველი - მერჩხითელი ჯემალ გორგაძე იყო, მეორე - ჩოხატაურელი სოსო რამიშვილი, მესამე - ღორჯომელი ჯემალ ირემაძე.

3, 4 და 6-კილომეტრიან დისტანციებზე პირველობა ჯემალ გორაძემ არავის დაუთმო. გამარჯვებული მხედრები, მოჭიდავეები, მკლავჭიდელები, ფრენბურთელები თასებით, მედლებით დააჯილდოვეს. საპრიზო ადგილებზე გასულ მხედრებს ფულადი ჯილდოებიც ერგოთ.

მერჩხითელი ზურაბ გორგაძე ცხენების ჯირითის დიდი გულშემატკივარი იყო. 70 წელსაც არ იყო მიტანებული, წუთისოფლიდან რომ წავიდა. მის საქმეს ახლა შვილები აგრძელებენ. 4-კილომეტრიან დისტანციაზე მიღწეული წარმატება შვილიშვილმა ჯემალ გორგაძემ ბაბუის ხსოვნას მიუძღვნა.

- ცხენი ჩვენს ოჯახში ისევ რჩება ყველაზე პატივსაცემ ცხოველად. წლევანდელ «ზოტიყელობაზე» ორი ცხენით გამოვედით, ორივემ მასახელა, - გვითხრა ჯემალმა.

«ზოტიყელობა» იმითაა საინტერესო, რომ აქ გამართული ცეკვა-სიმღერა, რომლის მონაწილეები წელს ღორჯომის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, საჯარო სკოლის მოცეკვავეები (ხელმძღვანელები სულხან ფარსენაძე და თამაზ გორგაძე) იყვნენ, ხშირად ახალი ოჯახის შექმნის საფუძველი ხდება. ერთ დღესასწაულზე ახალგაზრდები ერთმანეთს რომ გაიცნობენ, შემდგომში დაოჯახებულები ან დანიშნულები მოდიან.

წლევანდელი ზეიმი დაუვიწყარი იქნება ღორჯომელი თამუნა დავლაძისა და ტუნაძეებელი დათო ჭელიძისთვის, მერჩხითელი ესმა ბერიძისა და მეკეიძეებელი ასლან ვანაძისთვის. მათი ნიშნობის ცერემონია ზეიმის დღეებში გამართეს.

სახალხო დღესასწაული გვიანობამდე გაგრძელდა. ღორჯომელებმა სასურველი სტუმრები სახლებში მიიპატიჟეს. ცეკვა-სიმღერა, ზეიმი უკვე ეზოებში გაგრძელდა. კეთილი სურვილები და სიყვარული გააყოლეს «ზოტიყელობის» ყველა მონაწილეს შრომისმოყვარე ღორჯომელებმა.



«კუნტიჯვარობა» - ახალი წამოწყება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო, მაშინდელი გორის სასწავლო (ახლა სახელმწიფო) უნივერსიტეტის რექტორები როლანდ კოპალიანი, გიორგი სოსიაშვილი, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმოდგენლები მონაწილეობდნენ წლების წინ მთა ჩირუხის მიმდებარე ტერიტორიაზე (ადგილობრივი მოსახლეობა მას ტოპონიმ «კუნტიჯვრის» სახელით იცნობს) ჯვრის აღმართვის ცერემონიაში. კეთილი საქმის ინიციატორი აწ განსვენებული პროფესორი, მარეთის ხეობის მკვიდრი ტარიელ ფუტკარაძე იყო. მან ეს რიტუალი დიდგორის ომში ქართველების დიდ გამარჯვებას მიუძღვნა

საზოგადოებამ ღირსეული მეცნიერის წამოწყება წამოწყებად აღარ დატოვა და დიდგორობის დღეს «კუნტიჯვარზე» მასშტაბური ღონისძიება გამართა. ცერემონიის მონაწილეებს 2 კილომეტრის ფეხით გავლა მოუწიათ, რომ სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურ დეკანოზ გიორგი ფუტკარაძის მიერ აღვლენილ პარაკლისსა და პანაშვიდს დასწრებოდნენ.

რელიგიური რიტუალების დაწყებამდე, დამსწრე ახალგაზრდებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს პუბლიცისტმა ოთარ ცინარიძემ, ტარიელ ფუტკარაძის ძმამ, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ფრიდონ ფუტკარაძემ «კუნტიჯვარის» ისტორია და ღონისძიების არსი გააცნეს.

- ტარიელ ფუტკარაძესთან მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებდა, - გვითხრა პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, - მაშინ ვერ შევძელი ჯვრის აღმართვას დავსწრებოდი. დღეს 30-მდე ახალგაზრდისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ამ წმინდა ადგილზე ვართ. აქედან კარგად მოჩანს ის ხეობა, რომლის მკვიდრი სამშობლოსთვის თავგანწირული კუტი (საპყარი) ქალი იყო. მივესალმები ამ წამოწყებას და ყველა დიდგორობას, ახალგაზრდობის დღეს, «კუნტიჯვარობას» გილოცავთ.

კომენტარი ვცხოვეთ ტარიელ ფუტკარაძის მეუღლეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ია ვაშაკიძეს:** «დღევანდელი დღე ნამდვილად მნიშვნელოვანია. შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ორგანიზებით ახალ წამოწყებას «კუნტიჯვარობას» სათავე დაედო. იგი სამშობლოსთვის თავდადებული ქალის ხსოვნას ეძღვნება. ის ქალბატონი თავისი ღვაწლით დიდგორის ომის მებრძოლებს გაუთანაბრდა. მათ სიცოცხლის ფასად საქართველო თურქ-სელჯუკებისგან იხსნეს. ამ წამოწყებას საფუძველი ტარიელმა ჩაუყარა, რითაც მისი სიცოცხლეც უკვდავყო. მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ეს დღე, მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობის ისტორია, რომელიც საფარას მონასტრიდან დაიწყო. ჩვენ მაშინ ვიყავით 21-22 წლის სტუდენტები და პირადი სურვილით საფარის სამონასტრო კომპლექსის აღდგენის სამუშაოებს ვეწეოდით. იმ წმინდა ადგილმა ჩაუყარა ჩვენს ოჯახს საფუძველი. ჩემი და ტარიელის ურთიერთობა გრძელდება. იგი ჩემთვის გარდაცვლილი არაა, მის სიახლოვეს ყველგან და ყველაფერში ვგრძნობ».

7 აგვისტოს მთა ჩირუხში «შუამთობის» სახალხო დღესასწაული გაიმართა. ტერიტორია, იმ დღიდან მოყოლებული, ამ მთაში ყველა ღონისძიების მასპინძლად იქცა. «კუნტიჯვრობის» მონაწილეებმა თავი აქ მოიყარეს. საზეიმო ცერემონია შესავალი სიტყვით მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ გახსნა.

იხ. მე-7 გვ.

ნოდარ ბერიძის ახალი ტური

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

- სტარტი გოდერძის უღელტეხილიდან დილის 7 საათზე ავიღე. გზები ისეთი ცუდი არ იყო, როგორც საუბრობდნენ. ეს ტური აქედან დავიწყე და დავამთავრებ კატარის რესპუბლიკაში, დოხაში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე. ტური სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 90 წლისთავს ეძღვნება. მისი დევიზია: მშვიდობა, მეგობრობა, ტურიზმის პოპულარიზაცია. აქედან გასული, საქართველოს 40 ქალაქსა და რაიონს ვეწვევი, შემდეგ, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, ერაყის, კუვეიტის, საუდის არაბეთის, ბაჰრეინის გავლით კატარის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაჰრეინში შევალ. სურვილია, ხსენებული მარშრუტი ქართული დროშით გავიარო, წინ წამოვწიო ჩემი ქვეყნის ავტორიტეტი, ცნობადობა, რაც ერთი საინტერესო ტური იქნება საქართველოს უახლეს ისტორიაში, - ასე დაიწყო საუბარი „აჭარასთან" ველომარათონელმა, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისის მკვიდრმა **ნოდარ ბერიძემ.**

- გოდერძიდან სტარტის აღება რა მიზანს ისახავს?

- ბათუმიდან გასვლას გოდერძი ვარჩიე. ასეთ დროს აჭარის მთიანეთი, მშობლიური ქედა „თამაშგარე მდგომარეობაში" რჩებოდა. გოდერძის უღელტეხილი ჩემს ბავშვობას უკავშირდება. ყოველ „შუამთობის" დღესასწაულს უღელტეხილის შემოგარენში არსებულ მთებში ვზეიმობდი. ეს ტერიტორია სამოთხედ მიმაჩნია. გზად, კერძოდ, დანისპარაულში, დიდაჭარის წყალსაცავთან, ხულოში, შუახევში გულშემატკივრები დამხვდნენ. ბათუმიდან ორი ველოსიპედისტი მოდის. მათ ქედის ტერიტორიაზე შევხვდები და ბათუმამდე ერთად ვიმოგზაურებთ.

- ვინ არიან თქვენი მხარდამჭერები?

- ჩვენ მოვამზადეთ და განვახორციელეთ ტრიათლონი ბათუმში, 30 ივლისს, 750 მეტრზე გავცურეთ, 20 კილომეტრი - ველოსიპედით, 5 კილომეტრი - ქვეითად დავფარეთ. საორგანიზაციო ჯგუფი - „მამულიშვილთა კავშირი" და „ჩოხოსანთა დარბაზი" გადართული იყო ამ შეჯიბრებაზე, მეც ჩოხოსანი გახლავართ. ეს ტური ცოტა მოუმზადებელია, მაგრამ იმედია, საქმეს ბოლომდე მივიყვან. მთავრობის მხარდაჭერის იმედი მაქვს. საწყის ეტაპზე დიდი თანადგომა გაგვიწია პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ. მისი მხარდაჭერით, ღამე სასტუმრო „არსიანში" გავათიე. მასპინძლობა და თანადგომა გამიწია ასევე, ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა რაჟდენ ფუტკარაძემ. ფუტკარაძეებთან ჩემი ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ახლაც გრძელდება. მადლობა მსურს გითხრათ გაზეთ „აჭარის" რედაქციას. ეს გაზეთი ჩემს ტურნეებს ყოველთვის ეხმიანება. ასეა ამჯერადაც. იმედია, ახალი ტური მშვიდობიანად დასრულდება და შთაბეჭდილებებს თქვენი გაზეთის მკითხველებს გავუზიარებ.



აჭარის ონლაინრეკლამა – ბალტიისპირეთში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სოციალურ ქსელებსა და „გუგლის" პლატფორმაზე გამოქვეყნებული რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლებისა და სარეკლამო ბანერების ჩვენებების რაოდენობებმა 15 მილიონ 600 ათასს გადააჭარბა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბათუმის და რეგიონის სამთო ტურისტული პროდუქტების ონლაინრეკლამას ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში ავიაკომპანია AirBaltic-თან თანამშრომლობით ახორციელებდა.

„ონლაინკამპანიის პარალელურად მიმდინარეობდა გარე სარეკლამო აქტივობებიც. კერძოდ, ქალაქ რიგაში ბათუმის საიმიჯო ბანერებით დაიბრენდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მთელი ქალაქის მასშტაბით გადაადგილდებოდა. გარდა ამისა, აჭარის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონს ათეულობით ტურისტული სააგენტოსა და მედიის წარმომადგენელი სტუმრობდა ბალტიისპირეთიდან, რამაც აღნიშნული ქვეყნებიდან ბათუმში ტურისტების მოზიდვასა და მედიაში აჭარის შესახებ სტატიების, ბლოგების, გადაცემების გამოქვეყნებას შეუწყო ხელი.

მიმდინარე წელს ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები სამივე ქვეყნიდან ხორციელდება. რიგის მიმართულება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს წელს დაემატა, რასაც წინ უსწრებდა ბათუმის საპოპულარიზაციო პრეზენტაციები ბალტიისპირეთის ქვეყნების დედაქალაქებში", - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ეკა ჭითავა: არასდროს მეზარება ცოდნის გაზიარება

მე-5 გვერდიდან

- ღმერთს ვხედავ ყველგან და ყველაფერში... ღმერთი ჩვენშია. .. მთელი სამყარო ღმერთია თავად - ასეთ თვალსაზრისს ხშირად აფიქსირებენ, განსაკუთრებით - პოეტები...

- მთავარია, ღმერთს გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ჩვენში. ვფიქრობ, სხვაგან მას ჩვენი დაცვა არ სჭირდება. ღმერთს ვხედავ სამართლიან და უშიშარ ადამიანებში. ბოროტებასთან შეუგუებლობაში, დაუნანებელ სიკეთესა და ერთგულებაში. თუ ეს არ გვესმის, აზრი არ აქვს იმის თქმას, რომ ღმერთი გვიყვარს და გვწამს. დოსტოევსკიმ შესანიშნავად გვიკარნახა: „თანამედროვე ადამიანის ყველაზე სერიოზული პრობლემები იქიდან მოდის, რომ მან დაკარგა ღმერთთან გააზრებული თანამშრომლობის უნარი".

- დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, რას მოითხოვს ჩვენგან?

- დრო ჩვენგან მოითხოვს მის სწორად გამოყენებას. ნაკლები ყურადღება მივაქციოთ წარსულს და მომავალს და ვკონცერტრირდეთ მხოლოდ აწმყოზე. მუდმივად უნდა გვქონდეს განცდა, რომ ის გარანტირებული არაა და ნებისმიერ წამს შეიძლება დასრულდეს.

- როგორც ჩანს, ბათუმი თქვენი საყვარელი ქალაქია, ხშირად სტუმრობთ? რა მოგწონთ და მომავალში როგორი ბათუმი გსურთ იხილოთ?

- ბათუმს ასე ვიხსენიებ: „ჩემი სიყვარულის ქალაქი", ჩემი ქალაქივით მემშობლიურება. ეს მისმა სტუმართმოყვარეობამ და მიმღებლობამ განაპირობა. მის ქუჩებში სეირნობა საუკეთესო თერაპიაა ჩემი ხასიათისთვის. მინდა, მეტად გამწვანდეს, მინდა, მის ქუჩებში მეტი გაღიმებული და ბედნიერი ქართველი დადიოდეს.

«კუნტიჯვარობა» - ახალი წამოწყება

მე-6 გვერდიდან

შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრალური დასის (ხელმძღვანელი, პოეტი ნანა შაინიძე) წევრებმა, გმირი ქალის სასწაულებრივი მოქმედების ინსცენირება და სპექტაკლი «ქორონიკონი» წარმოადგინეს.

საზეიმო შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე, უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, პოეტი ფრიდონ დავითაძე, ჟურნალისტი ოთარ ცინარიძე.

შუახევის კულტურის ცენტრთან და ხიჭაურის საჯარო სკოლასთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების «მარეთის» და «ოთოლთის» წევრებმა სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ქალაქ ბათუმის საკრებულოს საკმაო წარმომადგენლობა იყო ზეიმის მონაწილე. შთაბეჭდილებების გაზიარება ტიტე აროშიძესა და ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძეს, ასევე ომარ ტაკიძეს ვთხოვეთ.

- პირველ რიგში, ამ ულამაზესი წამოწყების მონაწილეებს მივესალმები. მჯერა, იგი მომავალში სახალხო დღესასწაულად იქცევა. ეს ღონისძიება დიდგორის ომში ქართველების გამარჯვების დღეს ემთხვევა. იმ გმირებმა გადაარჩინეს სამშობლო, გადაგვარჩინეს ჩვენ. ეს ღონისძიება, დამსწრეთა პათოსი ქვეყნის გაეთიანებისა და გამთლიანების საწინდარია, - თქვა **ტიტე აროშიძემ.**

რამაზ ჯინჭარაძე: - მშობლიურ შუახევში მოსვლა, ნებისმიერ ღონისძიებაზე დასწრება ჩემთვის დიდი პატივია. ტარიელ ფუტკარაძის დაწყებული საქმეები, რომელიც მარეთის ხეობის ისტორიისა და ტოპონიმების კვლევას ეძღვნებოდა, თაობებმა უნდა გააგრძელონ. დღევანდელი ღონისძიება ერთი იმათთაგანია.

ომარ ტაკიძე: - დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ უკვდავყოფს იმ საქმეებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ტარიელ ფუტკარაძესთან ერთად წამოვიწყეთ. დასაწყისი კარგია, გაგრძელება უკეთესი იქნება.

7-კაცა რაგბი

მეორე ადგილი – მსოფლიო სერიის შესარჩევში

ჩილეში გამართული მსოფლიო სერიის შესარჩევი ტურნირის მოგებამდე საქართველოს 7-კაცას ერთი ნაბიჯი დააკლდა

ტურნირის დასკვნით დღეს, ნახევარფინალში, ჯგუფურ ეტაპზე განცდილი მარცხისთვის ჩვენმა გუნდმა რევანში აიღო - მასპინძელი ჩილე 31:14-ით დაამარცხა. მეტოქე დებიუტში დაწინაურდა, თუმცა თემურ კოხოძის ერთი და მირიან მოდებაძის ორი ლელოს შემდეგ, საქართველო შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გავიდა (19:7). მეორე ტაიმშიც პირველი ლელო მასპინძლებმა გაიტანეს, მაგრამ სტუმრებმა სამით უპასუხეს - კოხოძემ დუბლი შეასრულა, ნიკა გიგაურმა და ლაშა ლომიძემ კი თითო ლელო გაიტანეს. ფინალში ურუგვაისთან ორჯერ დარჩა ნაკრები კაცნაკლული, რითაც მეტოქემ იხეირა და ორი ლელო გაგვიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი ჭუაძემ ერთი ლელო გაქვითა, მაგრამ სიჩქარის და წვიმის გამო შეცდომები დავუშვით. ბოლოს ლელო კვლავ ურუგვაიმ გაიტანა და შეხვედრა 19:5-ით მოიგო. ამის მიუხედავად, ეს იყო ჩვენი 7-კაცას საუკეთესო შედეგი ბოლო წლებში. ფინალში თამაშის გამო, სავარაუდოდ, საქართველოს მსოფლიო სერიის რამდენიმე ეტაპზე წვეულ გუნდად დაუძახებენ (ჩვენმა გუნდმა მსოფლიოს სერიაზე ბოლოს 2008-2009 წლების სეზონზე ითამაშა). ჩილეში მსოფლიო სერიის შესარჩევ ტურნირზე თამაშობდნენ: იოსებ გუშარაშვილი („შავი ლომი"), მირიან მოდებაძე („შავი ლომი"), ნიკოლოზ რეხვიაშვილი („ყოჩები"), გიორგი კოშაძე („ხარები"), ნიკოლოზ გიგაური („ყაზბეგი"), გიორგი გელაშვილი („არმია"), ირაკლი სიმსივე („აია"), გიორგი ბაბუნაშვილი („შავი ლომი"), თემურ კოხოძე („აია"), ლაშა ლომიძე („შავი ლომი"), თემო ჭიჭინაძე („ყოჩები"), ლევან ნარიმანიძე („ხარები"), გიორგი ჭუაძე („აკადემია"). მწვრთნელები: ბესიკ ხამაშურიძე, გია ლაბაძე.

ამირან გურიელიძე

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/08/22, 21 25 სთ.

ბათუმი სულ მალე კიდევ უფრო იამაყებს, რომ ცოტნე ზედგინიძემ ჩვენს ქალაქში დაუკრა

მე-5 გვერდიდან

მასში მონაწილეობდნენ დღევანდელი კლასიკური მუსიკის კორიფეები. მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორები ამბობენ, რომ ცოტნეს ვერაფერს ასწავლი, ის რასაც წერს, არის აბსოლუტურად ჩამოყალიბებული, მაგრამ - რთული. მისი მუსიკალური ენა ძალიან თანამედროვე, საკმაოდ მოდერნისტულია. აი, ამიტომ წინასწარ „შეგამზადეთ“ მის მოსასმენად. მინდა გაგახაროთ, რომ ბათუმი პირველი ქალაქია საქართველოში, სადაც ცოტნემ ეს ნაწარმოები უნდა შეასრულოს, მისი პრემიერა თქვენთან შედგება. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიც ცოტნემ გამოიყენა ორკესტრი - აქამდე ის მხოლოდ საფორტეპიანო მუსიკას წერდა. ამ ნაწარმოების მსოფლიო პრემიერის დირიჟორობა ქალაქ ინგოლშტადში აუდის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ კონცერტზე 10 ათასი მსმენელის წინაშე მომიწია და ცოტნეს მუსიკასა და შესრულებას საოცარი გამოხმაურება მოჰყვა. იქ მან ამ ქალაქის ქართულ ორკესტრთან ერთად დაუკრა საკუთარი ნაწარმოები „ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის“. ფესტივალის იქაური მუსიკალური კრიტიკა მასზე აღფრთოვანებით წერდა: „ეჭვგარეშეა, რომ ცოტნე ზედგინიძე არა მხოლოდ ფორტეპიანოს უდიდესი გენიოსი გახლავთ, არამედ უნიკალური კომპოზიციური ნიჭით დაჯილდოებული ავტორია“. აი, ეს ნაწარმოები შესრულდება დღეს აქ - საქართველოში პირველად.

ნიკოლოზ რაჭველმა სცენაზე მოიწვია ცოტნე ზედგინიძე, რომელსაც მხურვალე აპლოდისმენტებით შეეგება მსმენელი... აღფრთოვანებული პუბლიკა მას ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს.

ორკესტრმა უზადოდ შეასრულა სულხან ცინცაძის და ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები.

შემდეგ სცენა დაეთმო გია ყანჩელის უსაყვარლეს ადამიანს, ახალი თაობის ბრწინვალე მუსიკოსს, ალტისტ გიორგი ცაგარელს, რომელმაც გია ყანჩელის „პატარა დანელიადა“ მოგვასმენინა და, როგორც ყოველთვის, მსმენელი დაიპყრო. ეს ნაწარმოები კომპოზიტორმა გია დანელიას საიუბილეოდ შექმნა. მასში, ძირითადად, გამოყენებულია ფილმ „ქინ-ძა-ძას“ მუსიკალური თემა.

დამსწრეთათვის სიურპრიზი იყო გია ყანჩელის კიდევ ერთი ნაწარმოები, რისთვისაც სცენაზე ნიკოლოზ რაჭველმა კიდევ ერთი ვარსკვლავი - ბექა გოჩიაშვილი მიიწვია. მან გიორგი ცაგარელთან ერთად რამდენიმე დაუვიწყარი წუთი აჩუქა მსმენელს. ასე დაგვემშვიდობნენ ვირტუოზები და, როგორც ნიკოლოზ რაჭველმა თქვა, იმ საღამოს გია ყანჩელი ისეთივე სიამოვნებას იღებდა, როგორც დარბაზში მოსული მსმენელი, რადგან სცენაზე იყო მისი საყვარელი ორკესტრი ახალი თაობის მისთვის საყვარელ მუსიკოსებთან ერთად.

ფესტივალის დახურვის მონაწილენი გია ყანჩელის მუსიკით დაგვემშვიდობნენ... უსაყვარლესი კომპოზიტორის მელოდიები მიგვაცილებდა საღამოდან - გია ყანჩელი იყო, არის და მუდამ ჩვენთან იქნება.

- დღეს 12 აგვისტოა, დიდგორობაა - საქართველოს გადარჩენის დღე. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულმა კონცერტმა ცხადყო, რომ ახალი დიდგორის მოგების ტოლფასია დღეს ცოტნე ზედგინიძის ნიჭის ტრიუმფი. უფლის ნებაა მომავალი (თუ უკვე!) 12 წლის გენიალური კომპოზიტორის, დიდი მუსიკოსისა და ადამიანის გაჩენა ამ დალოცვილ მიწაზე. ვულოცავ ჩემს ქვეყანას და ყველა კეთილშობილ ადამიანს. ღრმა პატივისცემით ვიხრი თავს ამ გენიალური ბავშვის აღმზრდელის წინაშე, - გვითხრა პროფესორმა ქეთევან გოგოლაძემ.

ცოტნე ზედგინიძის სახით საქართველოში უდიდესი მუსიკოსი იზრდება. ვუსმენდი და ასე მეგონა, სხვა განზომილებიდან გვეწვია. პატარა პიანისტები ხშირად უკრავენ დიდ ორკესტრებთან ერთად, მაგრამ 12 წლის ბიჭმა ასეთი ნაწარმოები დაწეროს ორკესტრისთვის, მართლაც განსაცვიფრებელია!

მადლობა ნიკოლოზ რაჭველს, ფესტივალს, ყველას, ვისაც ამ არაჩვეულებრივი საღამოს ჩატარებაში მიუძღვის თუნდაც მცირეოდენი წვლილი.

წარმატებები ვუსურვოთ ცოტნე ზედგინიძეს!

განცხადება

მართე შენი ბრაზი „დისკურსთან“ ერთად

სამყაროში არ არსებობს ქვეყანა ან ხალხი, სადაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ძალადობა არ ეხება. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში 1,6 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება ძალადობის შედეგად; ამასთან, თითოეულ დაზარალებულზე მოდის გაცილებით მეტი რაოდენობა ადამიანებისა (ქალების, ბავშვების, მოზარდების, ხანდაზმული პირების), რომელთაც ძალადობის შედეგად გაუჩნდათ მძიმე პრობლემები ფიზიკურ, სექსუალურ, რეპროდუქციულ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

ძალადობა გავლენას ახდენა არა მარტო ქალზე, აგრეთვე ბავშვზეც. თუ დედა ძალადობის მსხვერპლია ორსულობის პერიოდში, ბავშვი იბადება ჯანმრთელობის ან ნეიროენდოკრინული დარღვევებით და ხშირად მომავალში თავად ხდება მოძალადე; ხოლო, თუ ბავშვი იზრდება ოჯახში სადაც ძალადობაა, ის თვითონ ხდება მოძალადე. როგორც ცნობილია, ასეთ ადამიანებს ტვინში აღენიშნებათ ისეთივე აქტიურობა, როგორც ჯარისკაცებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საომარ ვითარებაში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ადამიანებს შეუძლიათ მომავალში სწრაფად აიცილონ თავიდან საფრთხე, მაგრამ მეორეს მხრივ, ზრდასრულ/გარდატეხის ასაკში აღნიშნული ტვინის აქტივობამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების მუშაობა მოძალადეებთან, რომლებიც ახორციელებენ ქალთა, ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობას. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიებაა, ადრეულ ასაკში მოძალადეთა ქცევის კორექცია, მყისიერი რეაგირება და ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია.

კავშირი ქალთა ცენტრის მიერ და დიდი ბრიტანეთის ფონდის მდგრადი მშვიდობისთვის COBERM-ის დამატებითი ინიციატივის ფარგლებში თბილისში გაიხსნა პირველი ქცევის კორექციის ცენტრი „დისკურსი“.

ქცევის კორექციის/სარეაბილიტაციო ცენტრი „დისკურსი“ ახორციელებს აგრესიული და ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილი პირების (კაცი, ქალი, ბავშვი, მოზარდი) ქცევის კორექციას - სასწავლო პროგრამაში ჩართვას.

ცენტრის მიზანია ძალადობის პრევენცია. აგრესიული ქცევისკენ მიდრეკილ პირებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა ცენტრი სთავაზობს უფასო პირისპირ და ონლაინ ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ სასწავლო პროგრამას/რეაბილიტაციას საქართველოს მასშტაბით.

ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია ორიენტირებულია ქცევით ცვლილებებზე, ძალადობრივი ქცევის აცილებაზე, აგრესორის მიერ საკუთარი თავის და ამ აგრესიული ქცევის მძიმე შედეგების გაცნობიერებაზე; ახალგაზრდების, ბავშვების, ქცევის კორექციის ღონისძიებების განხორციელებაზე, მათ შორის სტრესის და აგრესიის მართვაზე, ოჯახში ძალადობის ფონზე, ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური პრობლემების გამოკვეთასა და აღმოფხვრაზე.

ცენტრი ახორციელებს უფასო პროფესიულ მომსახურებას და ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას ცხელი ხაზის, ონლაინ-კონსულტაციებისა და ფსიქოთერაპიის მეშვეობით.

ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს მომსახურების მიმღებ პირთა:

1. აგრესიული ქცევისკენ მიდრეკილ პირთა შეფასების პროცესს, რისკების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების წარმართავს; ემოციური, ქცევითი, კოგნიტური და სოციალური პრობლემების იდენტიფიკაციას, შეფასებას და პრობლემების ანალიზს;
2. ფსიქოლოგიურ დიაგნოსტირებას ცენტრის სტანდარტების შესაბამისი ინსტრუმენტებით;
3. წერის, კითხვის, კომუნიკაციური ინტერპერსონალური და სხვა უნარების შეფასებას ასაკის შესაბამისად;
4. ინდივიდუალურ/ჯგუფურ მუშაობას (ადრეული ჩარევა, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში - ფსიქოლოგიური მკურნალობა/ფსიქოთერაპია);
5. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება, დიაგნოზის დადგენის, დამატებითი სამკურნალო ღონისძიებების გატარების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობისთვის;
6. დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის შეცვლის თერაპიას.
7. შემდგომ სოციალურ ადაპტაციასა და ინტეგრაციას;
8. კრიზისულ ინტერვენციას;
9. რეაბილიტაციისა და სოციალიზაციისათვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის სარეაბილიტაციო სესიების, სარეაბილიტაციო მოდულების (მაგ. კონფლიქტების მართვა, ემოციების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია და ა. შ.) წარმართვას;
10. არასრულწლოვანი მომსახურების მიმღები პირისათვის, მომსახურების მიწოდებას არასრულწლოვანის საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ შორის სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის და/ან სხვა პროგრამებში ჩართვას;

ცენტრი „დისკურსი“ კოორდინირებულად მუშაობს ჯანდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ერთეულთან.

Behavior Correction/Rehabilitation Centre „Discourse“

Union Women Center with the support of the UK Fund for Sustainable Peace - Complementary Initiative to COBERM, has opened their First Behavior Correction/Rehabilitation Centre "Discourse" in Georgia. The center aims to provide psychological and social treatment before people with aggression go to prison or under the supervision of the National Probation Agency.

The model of the Behavior Correction/Rehabilitation Centre "Discourse" was based on the legislation of Georgia and provides the psycho-social services to male, women, children and youth. The center provides hot-line, psycho-social rehabilitation and consultation online and face-to-face for violent perpetrators and people of all ages and gender that are struggling with aggression-all free of charge. The work of the Center is strengthened through awareness raising and capacity building activities for through the Program Against Gender-Based Violence for Universities and communities.

The Centre is working in coordination with the Tbilisi Crisis Centre in providing assistance to women and children, together with the Social Agencies for the Protection of Victims of Domestic Violence, the Ministry of Justice, the Ministry of Health, the Ministry of Internal Affairs and the Prosecutor's Office.

ცხელი ხაზი/hot-line (032) 2321206
კონსულტაცია-consultation (+995) 591 29 57 84
E-mail: behaviorcorrectioncenter@gmail.com
მისამართი/address: ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალი, კორპუსი 9, მე-3 სადარბაზო, მე-2 სართული.